საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჩმინდა საქმეში, რაგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბეჭთის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

შაბათი, 27 იანვარი. 2018 წ. №17 (8418), გამოცემის მე-100 წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ერთადერთი შეთანხმება, რომლითაც რუსეთი საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას აღიარებს

⑤



ილია მეორე: მე შეხვედრა მქონდა პუტინთან და მას ვუთხარი, რომ სეპარატიზმი გადამდები სენია...

②

ქვეყნის ⑦ ნარკოპოლიტიკა „დეგენერაცია“

ARისტოკრატია ჩვენში და სხვაგან

⑥

კვირამალს საკითხავი

ეს ამბავი იმაზეც ინშეკინი



⑧

ვაქებ ჭკუასა ბრძენთასა...

„სილქნეტი“ „ჯეოსელს“ ყიდულობს!

„სილქნეტმა“ „ჯეოსელის“ შესყიდვის შესახებ განაცხადა. „საქართველოს ისტორიაში ყველაზე მსხვილი გარიგების შედეგად იქმნება სრული სპექტრის სატელეკომუნიკაციო კომპანია, რომელიც „სილქნეტის“ ინტერნეტის, საკაბელო ტელევიზიის და ფიქსირებული სატელეფონო კავშირის მომსახურებას „ჯეოსელის“ მობილურ სერვისებთან აერთიანებს.

„სატელეკომუნიკაციო ბაზრის ლიდერი კომპანიების გაერთიანება უზრუნველყოფს საქართველოს მომხმარებლებისთვის ინოვაციური პროდუქტებისა და სერვისების უფრო ფართო არჩევანს და გაზრდილ წვდომას საერთაშორისო ექსკლუზიურ კონტენტზე.

გარიგების ღირებულებამ შეადგინა 153 მლნ. აშშ დოლარი. დაფინანსება მოხდება „თიბისი ბანკისა“ და მის მიერ ორგანიზებული რეგიონალური ბანკების სესხითა და „სილქნეტის“ საკუთარი კაპიტალით. ქვეყანაში უმსხვილესი ფიქსირებული ოპერატორი „სილქნეტისა“ და მობილური ოპერატორი „ჯეოსელის“ გაერთიანებით საქართველოში იქმნება სრულმასშტაბიანი სატელეკომუნიკაციო კომპანია.

საკაშვილს

შინაპატიმრობა მიესაჯა

კიევის სააპელაციო სასამართლომ მიხეილ სააკაშვილს შინაპატიმრობა მიუსაჯა. მოსამართლეთა კოლეგიამ დააკმაყოფილა უკრაინის უშიშროების სამსახურის აპელაცია და შეცვალა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც მიხეილ სააკაშვილს აღკვეთის არანაირი ღონისძიება არ შეეფარდა.

მიხეილ სააკაშვილი 2017 წლის 5 დეკემბერს უკრაინის უსაფრთხოების სამსახურმა დააკავა.

* * *

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით „აღშფოთებულმა“ მიშამ გუშინვე კიდევ ერთი პოლიტიკური დანაშაული ჩაიდინა და უკრაინის პრეზიდენტი, პრემიერი და სასამართლო სისტემა დაუნდობლად აგინა!

საქართველოში მოკნავილე პარტიამ „გვარამიას ჯოჯოხეთმა“ და მატყუარა ჟურნალისტებმა ეს მომენტები გუშინ „მთავარ არხზე“ ცხრაჯერ აჩვენეს!

ბრავო, გვარამია!

რაზეა ლაპარაკი!

საქართველოს პირველმა ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა და აშშ-ს ელჩმა საქართველოში იან კელიმ ორი ქვეყნის ეკონომიკური ურთიერთობების მიმდინარე საკითხები განიხილეს.

გაერთიანებული უწყებების ხელმძღვანელის რანგში ეს დიმიტრი ქუმსიშვილის პირველი შეხვედრა იყო ამერიკელ დიპლომატთან, შესაბამისად, პირველმა ვიცე-პრემიერმა ელჩს ეკონომიკის სამინისტროს შემდგომი საქმიანობის შესახებ საკუთარი ხედვა გააცნო და იმ მნიშვნელოვან პროექტებზე ესაუბრა, მათ შორის, ენერგეტიკის, წიაღის მართვის, ტურიზმის, ორმხრივი ვაჭრობის განვითარების, ექსპორტის ხელშეწყობისა და ინვესტიციების წახალისების შესახებ.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ აშშ საქართველოს უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული პარტნიორია, რომელთან თანამშრომლობაც სამომავლოდ კიდევ უფრო განვითარდება.

* * *

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი ვახტანგ გომელაური საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელს ერიკ ჰოგის შეხვდა.

უწყების ინფორმაციით, შეხვედრაზე საუბარი შეეხო საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებსა და საოკუპაციო ხაზის გასწვრივ არსებულ ვითარებას. მხარეებმა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიისა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ურთიერთთანამშრომლობის საკითხები მიმოიხილეს.

ვახტანგ გომელაურმა განსაკუთრებით აღნიშნა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის წვლილი რეგიონში უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხში.

გამოცემის მე-100 წელი

საქართველო სერბეთის რესპუბლიკის ეროვნული ასამბლეის სპიკერს მასპინძლობს

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა სერბეთის რესპუბლიკის ეროვნული ასამბლეის სპიკერს მაია გოიკოვიჩს უმასპინძლა, რომელიც თბილისში ოფიციალური ვიზიტით იმყოფება.

მხარეებმა ისაუბრეს სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობის გააქტიურებაზე, მათ შორის ეკონომიკური მიმართულებით არსებული პოტენციალის ათვისების მნიშვნელობაზე. აღინიშნა, რომ ეკონომიკური კავშირების გაღრმავებას ხელს შეუწყობს ერთობლივი ბიზნეს-ფორუმი, რომლის გამართვა თბილისში მიმდინარე წლის გაზაფხულზე იგეგმება.

„ჩვენთვის დიდი პატივია თქვენი მასპინძლობა. მივესალმებით ჩვენი ორმხრივი ურთიერთობების გააქტიურებას. ჩვენს ქვეყნებს ბევრი აქვთ საერთო. ასე რომ, სრულიად ბუნებრივია, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის კავშირები მტკიცდება. მადლობას მოგახსენებთ საქართველოსთვის მნიშვნელოვანი საკითხების – ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მხარდაჭერისთვის სხვადასხვა საერთაშორისო ფორუმზე. ასევე მადლობას მოგახსენებთ თქვენი პოლიტიკური გადაწყვეტილებისთვის, ჩვეულებრივი პასპორტით მოსარგებლე საქართველოს მოქალაქეებისთვის უვიზო რეჟიმის შემოღებასთან დაკავშირებით. ჩვენ ველით სერბეთის ბიზნესმენთა დელეგაციის ჩამოსვლას წელს თბილისის ბიზნესფორუმში მონაწილეობის მისაღებად. ჩვენ არ გვაქვს ინტენსიური სავაჭრო ურთიერთობები. ასე რომ, ეს იქნება კარგი შესაძლებლობა ჩვენი ორმხრივი ვაჭრობისთვის და საინვესტიციო ურთიერთობებისთვის ბიძგის მისაცემად“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

საქართველოს მთავრობის მეთაურს მასპინძლობისთვის მადლობა გადაუხადა სერბეთის ეროვნული ასამბლეის სპიკერმა.

„ჩვენ წარმოვადგენთ ჩვენს მოქალაქეებს, და სწორედ ჩვენი მოქალაქეების ნებაა, რომ ჩვენ დავამყაროთ კიდევ უფრო ახლო ურთიერთობები. ეს ვიზიტი უნდა განვიხილოთ, როგორც მხოლოდ დასაწყისი, რომელიც ბიძგს მისცემს ჩვენი ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავებას როგორც საპარლამენტო, ისე, ზოგადად, პოლიტიკურ დონეზე“, – აღნიშნა მაია გოიკოვიჩმა.

შეხვედრისას საუბარი შეეხო საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში თანამშრომლობას და ორი ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებულ გამოწვევებს.

* * *

სერბეთის პარლამენტის თავმჯდომარეს შეხვდა საქართველოს პრეზიდენტიც. შეხვედრაზე ხაზი გაესვა სერბეთის ეროვნული ასამბლეის თავმჯდომარის მაღალი დონის ვიზიტის მნიშვნელობას საქართველოში, რამაც ბიძგი უნდა მისცეს სერბეთსა და საქართველოს შორის, სხვადასხვა სექტორულ სფეროებში თანამშრომლობის კიდევ უფრო გაძლიერებასა და გააქტიურებას.

შეხვედრისას აღინიშნა, რომ სერბეთი ოფიციალურად მხარს უჭერს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას და მნიშვნელოვანია, რომ სერბეთის სახელმწიფოს მიერ გაცხადებული ეს პოზიცია სწორად იქნას აღქმული და გაზიარებული საზოგადოების ყველა ფენისა და ორგანიზაციის – საზოგადოებრივი თუ რელიგიური ორგანიზაციების მიერ, რათა გამოირიცხოს იმგვარი პრეცედენტები, როცა ოკუპირებული ტერიტორიების წარმომადგენლები ე.წ. ოფიციალური შეხვედრების გამართვას ცდილობენ მათ ტერიტორიაზე.

„მე შეხვედრა მქონდა პუტინთან და მას ვუთხარი, რომ სეპარატიზმი გადამდები სენია“

– **ამის** შესახებ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ სერბეთის რესპუბლიკის ეროვნული ასამბლეის სპიკერ მაია გოიკოვიჩთან შეხვედრისას განაცხადა.

„ვფიქრობ, თქვენი ვიზიტი უფრო მეტად შეკრავს ურთიერთობას საქართველოსა და სერბეთს შორის. მე შეხვედრა მქონდა პუტინთან და მას ვუთხარი, რომ სეპარატიზმი გადამდები სენია. აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი და სხვა რეგიონები იყო 20% საქართველოს ტერიტორიისა. ასე რომ, ჩვენ ერთი პრობლემის წინაშე ვდგავართ. დახმარება და თანადგომა აუცილებელია. ვფიქრობ, მუდამ ასე ვერ გაგრძელდება და ეს უნდა იყოს გამოსწორებული საერთაშორისო ძალების მიერ. ვფიქრობ, ეს მომავალში შესაძლებელი გახდება“, – განაცხადა ილია მეორემ.

ნატოს სამეკავშირეო ოფისის დელეგაცია სახელმწიფო აუდიტის სამსახურში

სახელმწიფო აუდიტის სამსახურში გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გამართა ნატოს სამეკავშირეო ოფისის დელეგაციამ. გენერალურმა აუდიტორმა ირაკლი მექვაბიშვილმა და ნატოს სამოკავშირეო ოფისის ხელმძღვანელმა საქართველოში როსარია პუგლისმა ისაუბრეს საჯარო ფინანსების მართვის კუთხით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურსა და პარლამენტს შორის მჭიდრო კომუნიკაციის მნიშვნელობისა და არსებული გამოწვევების შესახებ.

შეხვედრის მონაწილეებმა განიხილეს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ინსტიტუციური და პროფესიული განვითარების პერსპექტივები და ურთიერთთანამშრომლობის სამომავლო ხედვები.

შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ გენერალური აუდიტორის მოადგილე ეკა ღაზაძე, საქართველოში ნატოს სამოკავშირეო ოფისის წარმომადგენლები – მრჩეველი კრისტიან კოკვიკი და პოლიტიკური ოფიცერი თორსთენ დერიკი.

ირაკლი კობახიძე: გასული რამდენიმე წლის განმავლობაში ქვეყანამ მიაღწია ფუნდამენტურ პროგრესს ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით

„ადამიანი, მისი უფლებების დაცვა, ადამიანის ღირსების დაცვა არის ჩვენი პოლიტიკის უმთავრესი მიზანი. ჩვენ გვაქვს ფუნდამენტური წინსვლა ამ მიმართულებით, 2012 წლიდან მოყოლებული, რითიც ჩვენ განსაკუთრებით ვამაყობთ“, – განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ გუშინ, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშის პრეზენტაციაზე.

პარლამენტის თავმჯდომარემ თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ პროგრესის მიუხედავად რჩება უამრავი სირთულე, პრობლემა, გამოწვევა და აქედან გამომდინარე, განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ უნდა იყოს თითოეული ის სფერო, რომელიც საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვასთან არის დაკავშირებული. **„გვქონდა ძალიან მძიმე მდგომარეობა ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით, სხვადასხვა მიმართულებით, თუმცა, გასული რამდენიმე წლის განმავლობაში ქვეყანამ მიაღწია ფუნდამენტურ პროგრესს სხვადასხვა მიმართულებით ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით. თუმცა, ბუნებრივია, ადამიანის უფლებების დაცვა, ეს არის მუდმივი ამოცანა, ჩვენ არ უნდა შევჩერდეთ მიღწეულზე“,** – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

ბოლო პერიოდში ამოღებულია დიდი რაოდენობით იარაღი, რომელიც შესაძლებელია დანაშაულის ჩადენის იარაღი გამხდარიყო

შს სამინისტრო ძალისხმევას არ იშურებს, რათა დროულად აღკვეთოს მძიმე დანაშაულები და მოახდინოს მისი პრევენცია, – ამის შესახებ ბრიფინგზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის უფროსმა მამუკა ჭელიძემ განაცხადა.

„შს სამინისტრო ძალისხმევას არ იშურებს, აღკვეთოს მძიმე დანაშაულები და მოახდინოს მისი პრევენცია. ჩატარებული ოპერატიული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ბოლო პერიოდში ამოღებულია დიდი რაოდენობით ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა, რომელიც შესაძლებელია დანაშაულის ჩადენის იარაღი გამხდარიყო. ბოლო ერთი თვის განმავლობაში სამართალდამცველებმა კახეთში, აჭარაში, სამცხე-ჯავახეთში, სამეგრელოსა და თბილისში ჩატარებული ოპერატიული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ამოიღეს 1 ავტომატი, 1 მცირე კალიბრიანი შაშხანა, 7 პისტოლეტი, 125 საბრძოლო ვაზნა, 5 მჭიდი და სხვა სახის იარაღი. თითოეულ საქმეზე გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტზე მიმდინარეობს. ჩადენილი დანაშაული 4-დან 6-წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. სამცხე-ჯავახეთში მოქალაქეებმა სხვადასხვა ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ნებაყოფლობით ჩააბარეს. აღნიშნული პირები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლდნენ“, – განაცხადა ჭელიძემ.

საქართველოს მთავრობას 2017 წელს შეპასუხება მხოლოდ 25 საქმეზე ეთხოვა

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 2017 წლის სტატისტიკა გამოაქვეყნა. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, დოკუმენტი აჩვენებს, რომ, წინა წლებთან შედარებით, საქართველოს წინააღმდეგ სტრასბურგში შეტანილი სარჩელებიდან უფრო მეტი საჩივარი ცხადდება უსაფუძვლოდ და მიუღებლად ან ირიცხება განსახილველ საქმეთა ნუსხიდან. კერძოდ, 2017 წელს მიუღებლად გამოცხადდა/ამოირიცხა 232 საჩივარი, 2016 წელს – 148, ხოლო 2015 წელს – 197.

„ამასთან, მკვეთრად შემცირდა საქმეების რაოდენობა, რომელთა თაობაზე საქართველოს მთავრობას შეპასუხება ეთხოვა. 2017 წელს მხოლოდ 25 საქმე იყო ასეთი, რაც, 2016 წელთან შედარებით, სამჯერ ნაკლებია. ამ მონაცემის მიხედვით, საქართველო ერთ-ერთი მოწინავე სახელმწიფოა საქმეების სიმცირის მიხედვით. შედარებისთვის: 2017 წელს ბელგიას 35 საქმეზე ეთხოვა შეპასუხება, ხორვატიას – 93-ზე, საფრანგეთს – 63-ზე, იტალიას – 1441-ზე, ლიტვას – 76-ზე, პოლონეთს, რუმინეთს – 495-ზე, სლოვაკეთს – 47-ზე, ესპანეთს – 52-ზე.

აღნიშნული სტატისტიკა ადასტურებს, რომ, სტრასბურგის სასამართლოს მოსაზრებით, ადამიანის უფლებების დაცვა საქართველოს შიგნით ეფექტურად არის შესაძლებელი და, უმეტეს შემთხვევაში, საჭირო არ არის საქმეების დამატებითი განხილვა ევროპულ სასამართლოში; ეს კი საქართველოს მთავრობის მიერ ბოლო წლებში განხორციელებული რეფორმების რეზულტატია, რომელთა შედეგადაც მართლმსაჯულების სისტემა გახდა ქმედითი და იძლევა უფლებების დაცვის ეფექტურ შესაძლებლობას“, – აცხადებენ უწყებაში.

„მეგადორსი“ თანდათან წელში გაიმართება!

პირველმა ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა სამთავრობო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში დაფინანსებული საწარმო გახსნა. შპს „ოცნებამ,“ რომელიც მხოლოდ სამშენებლო და სარემონტო მასალების იმპორტირებითა და რეალიზაციით იყო დაკავებული, პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით საკუთარი ხისა და ლითონის კარის საწარმო ააშენა და პროდუქციას უშვებს ქართული ბრენდით „მეგადორსი“. საწარმოში ამჟამად დასაქმებულია 42 ადამიანი. წარმადობის ზრდასთან ერთად კომპანია წლის ბოლომდე დამატებით 20 ახალ სამუშაო ადგილს შექმნის.

პირველ ვიცე-პრემიერს მეგზურობა საწარმოს მფლობელმა რაულ გაბაიძემ გაუწია. დიმიტრი ქუმსიშვილმა დაათვალიერა ხისა და ლითონის კარის დამამზადებელი საამქროები, აგრეთვე გაეცნო კომპანიის მზა პროდუქციას. აღინიშნა, რომ ამჟამად კომპანია თანამშრომლობს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სააგენტოსთან „აწარმოე საქართველოში“ წარმოებაში ხარისხის საერთაშორისო ISO სტანდარტის დასანერგად.

საწარმო აღჭურვილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მანქანა-დანადგარებით. აღსანიშნავია, რომ კომპანია ამ სეგმენტში ლიდერია და მის მიერ წარმოებული პროდუქციით ადგილობრივი ბაზარი სტაბილურად მარაგდება. საწარმოში ამ ეტაპზე სერიულად იწარმოება 100-ზე მეტი სახეობის მაღალი ხარისხის ხის და ლითონის კარი, ასევე მიიღება ინდივიდუალური შეკვეთებიც. მიმდინარე პერიოდისათვის საწარმოს წარმადობა შეადგენს თვეში 2000 კარს, თუმცა უახლოეს პერიოდში წარმოების მოცულობა გაიზრდება ორჯერ, რაც კომპანიას მისცემს შესაძლებლობას, პროდუქცია ექსპორტზე გაიტანოს თურქეთში, სომხეთში, აზერბაიჯანსა და ყაზახეთში.

საწარმოს გახსნას ასევე დაესწრო ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ალექსანდრე ნასარიძე. **საწარმო „მეგადორსი“ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში სარგებლობს როგორც ფინანსური, ასევე ინფრასტრუქტურული კომპონენტით, რაც იმას ნიშნავს, რომ პირველი 2 წლის განმავლობაში სესხის პროცენტის თანადაფინანსებას სსიპ „აწარმოე საქართველოში“ განახორციელებს, ხოლო საწარმოს ასაშენებლად კომპანიას სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსგან 5 184 კვ.მ. მიწის ნაკვეთი გადაეცა. სააგენტოს „აწარმოე საქართელოში“ ხელშეწყობით განხორციელებული პროექტის ინვესტიციის ჯამური მოცულობა 2 424 000 ლარს შეადგენს.**



კალაძე ოპოზიციას გენგეგმის შეფასების პროცესში ჩართვას სთავაზობს

თბილისის მერი ოპოზიციას თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განხილვაში ჩართვას სთავაზობს.

„ეს იყო პირველი შეხვედრა, სადაც წარმოდგენილი იყო საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების ექსპერტები, რომლებმაც სურვილი გამოთქვეს, რომ დაგვეხმარებიან და ჩაერთვებიან გენგეგმის დოკუმენტის შეფასებაში. ამაში იქნებიან ჩართული ქართველი ექსპერტებიც. მე მინდა ასევე შევთავაზო ოპოზიციის წარმომადგენლებს, თუკი მათ ექნებათ სურვილი გახდნენ თანამონაწილეები დოკუმენტის შეფასების, ჩვენ დიდი სიამოვნებით თანახმა ვართ. ჩვენი კარი ღიაა ყოველთვის. მე წინასაარჩევნოდაც ვაცხადებდი, რომ მზად ვართ თანამშრომლობისთვის. ეს დოკუმენტი ჩვენი ქალაქისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ამიტომ თუ ექნებათ ჩართულობის სურვილი, ჩვენ მზად ვართ ამისთვის“, — განაცხადა კალაძემ გენგეგმის საკითხზე მომუშავე ქართველ და საერთაშორისო ექსპერტებთან შეხვედრის შემდეგ.

სასტუმრო „ლეოგრანდში“ დასაქმებულ 500-მდე ადამიანს უმუშევრობა ემუქრება

საქართველოს პროფკავშირების გაერთიანების განცხადებით, სასტუმრო „ლეოგრანდში“ დასაქმებულ 500-მდე ადამიანს უმუშევრობა ემუქრება.

მათივე თქმით, 500 ადამიანის უმუშევრად დატოვების შემთხვევაში, ამდენი ადამიანის საშიმშილოდ გაწირვა ბათუმისთვის ახალი ტრაგედიის ტოლფასი იქნება.

„საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება“, სოლიდარობას უცხადებს დასაქმებულებს და მოუწოდებს შესაბამის სტრუქტურებს, დააჩქარონ საგამოძიებო მოქმედებები ადგილზე.

სასტუმრო ორი თვეა, პარალიზებულია, თუმცა ორთვიანი შეჩერების შემდეგ, სახანძრო უსაფრთხოების საკითხების გადაწყვეტის შესახებ საუბრის ნაცვლად, ცნობილი ხდება, რომ (საგამოძიებო მოქმედებების მიმდინარეობის მოტივით) დასაქმებულებს უხელფასო შვებულებებში უშვებენ და შემდეგი ეტაპი შესაძლოა საერთოდ მათი დათხოვნა გახდეს. 500 ადამიანის უმუშევრად დატოვების შემთხვევაში, ამდენი ადამიანის საშიმშილოდ გაწირვა ბათუმისთვის ახალი ტრაგედიის ტოლფასი იქნება. ვთხოვთ, ხელისუფლებას გულისყურით მოეკიდოს აღნიშნულ საკითხს. სასტუმროს ადმინისტრაციას კი მოვუწოდებთ — უმძიმესი ტრაგედიის შემდეგ, დაიწყოს ზრუნვა იქ დასაქმებულებზე, რომლებმაც ურთულესი დღეები საკუთარ თავზე გადაიტანეს და ახლა ახალი დარტყმის ქვეშ აღმოჩნდნენ“, — ნათქვამია პროფკავშირების განცხადებაში.

სასტუმრო „ლეოგრანდის“ თანამშრომლებმა საპროტესტო აქცია გამართეს. მათ ადგილობრივ მთავრობას დახმარების თხოვნით მიმართეს და განაცხადეს, რომ საგამოძიებო მოქმედებების მიმდინარეობის გამო, უხელფასო შვებულებაში არიან.

შეგახსენებთ, სასტუმრო „ლეოგრანდში“ 2017 წლის 25 ნოემბერს გაჩენილი ხანძრის შედეგად 11 ადამიანი დაიღუპა და 20 დაშავდა.

ტექინსპექტირების პროცესის შესახებ ავტომფლობელებისთვის ცხელი ხაზი „1484“ მოქმედებს

2018 წლის 3 იანვრიდან, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინიციატივით, ცხელი ხაზი 1484 მოქმედებს, რომელიც ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ეტაპობრივად ამოქმედების პროცესისა და პირობებით დაინტერესებულ ადამიანებს ემსახურება. ცხელ ხაზზე დარეკვა შესაძლებელია საერთო სარგებლობის ფიქსირებული და მობილური ქსელებიდან, მხოლოდ ცხელი ხაზის ნომრის — 1484 აკრეფით.

კონსულტაციის გაცემის გარდა, ცხელი ხაზის ოპერატორები მოქალაქეებს ასევე ეხმარებიან ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტესტირების ცენტრებში ვიზიტის ონლაინ დაჯავშნაში. ცხელ ხაზზე დარეკვა დამატებითი გადასახადის გადახდას არ ითვალისწინებს. ცხელ ხაზთან ერთად დაინტერესებული ავტომფლობელებისთვის ასევე შექმნილია ვებ-გვერდი www.pti.ge, სადაც შესაძლებელია დეტალური ინფორმაციის მიღება ინსპექტირების ცენტრებისა და ტექნიკური მოთხოვნების შესახებ, ასევე სასურველ ტექინსპექტირების ცენტრში ვიზიტის ონლაინდაჯავშნა.

შეგახსენებთ, რომ 2018 წლის 1 იანვრიდან სავალდებულო ტექნიკურ ინსპექტირებას გაივლიან სამგზავრო (8 ადგილის ზემოთ) და სატვირთო (3,5 ტ. ზემოთ) ავტომობილები, შემდეგ ეტაპზე — სახელმწიფო უწყებებისა და იურიდიული პირების კუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალებები, ასევე დიდი მოცულობის (3.0 და ზემოთ) ძრავების მქონე ავტომობილები და ა.შ. 2019 წლის ბოლომდე ინსპექტირებას გაივლის საქართველოში რეგისტრირებული მთლიანი ავტოპარკი.

◎ საბანკო სექტორი

ფულს როცა ფული დააზღვევს...

წლის დამდეგიდან ძალაში შევიდა პარლამენტის მიერ შარშან მიღებული „საბანკო დეპოზიტების დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონი, რის საფუძველზე კომერციულმა ბანკებმა იანვრის პირველ ნახევარში საგარანტიო ფონდში 600 ათას ლარზე მეტი ჩაირიცხეს.

ეს თანხა ფონდში კომერციული ბანკების პირველი შენატანია, საწყის ეტაპზე კი ანაბართა საგარანტიო ფონდის აქტივები 1,6 მილიონი ლარს შეადგენენ. ახალი კანონის დებულების შესაბამისად, კომერციული ბანკები ვალდებულნი არიან, ფონდს სადაზღვევო თანხები რეგულარულად გადაურიცხონ. ამის მიზანი კი ამა თუ იმ ბანკის გადახდისუნარიანობის, ლიკვიდაციის ან გაკოტრების პროცედურის დაწყების შემთხვევაში, რომელიც „სადაზღვევო ვითარებად“ შეფასდება, მეანაბრეთათვის დეპოზიტზე რიცხული ფულადი სახსრების დაბრუნებაა. გარდა ამისა, ბანკები ასევე ვალდებული არიან ფონდს ყოველ დეპოზიტზე გარკვეული პროცენტიც ჩაურიცხონ, რომლის სიდიდე, ვალუტებისდა მიხედვით, განსხვავებული იქნება.

ამასთან, იმ შემთხვევისთვის, თუკი საჭიროების წარმოშობისას ბანკს კლიენტებისთვის მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად საკმარისი სახსრები არ აღმოაჩნდება, დანაკლისის შესავსებად ბანკების მიერ ფონდში საგანგებო შენატანებიცაა გათვალისწინებული. ამ ვითარებაში, ახალი კანონის დებულებით, საგანგებოდ ახლადშექმნილი დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს უფლება აქვს ბანკებს დამატებითი ერთჯერადად დააკისროს გარკვეული თანხის გადახდა, რომლის ოდენობა კონკრეტული კომერციული სტრუქტურის დეპოზიტების საერთო თანხის ერთ პროცენტს არ აღემატება.

სააგენტო ასევე უფლებამოსილია მოიზიდოს უცხოური საფინანსო ინსტიტუტების სახსრებიც, რისთვისაც აქციებს ბირჟაზე განათავსებს. ამის გაკეთების გზაზე „მწვანე შუქის“ ასანთებად ასევე საკმარისი იქნება სახელმწიფო ან ეროვნული ბანკის გარანტიები. „სადაზღვევო ვითარების“ წარმოშობის შემთხვევაში, დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო, ამ შემთხვევის დადგომის თარიღიდან 20-დღიან კალენდარულ ვადაში, ფიზიკურ პირს დეპოზიტის თანხას კანონით გათვალისწინებულ ფარგლებში ეროვნული ვალუტით გაუსტუმრებს.

თავად დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მონაცემებით, დღესდღეობით საქართველოს საბანკო სისტემაში 5 ათას ლარამდე თანხიანი 4,2 მილიონი დეპოზიტია აღნუსხული, რომელთა მთლიანი თანხა დაახლოებით 1,5 მილიარდი ლარია. სადაზღვევო ლიმიტი, რომელიც ამჟამად 5 ათას ლარს წარმოადგენს, საბოლოოდ დადგენილი არ არის და დროთა განმავლობაში გაიზრდება. ამჟამად სააგენტოში სათანადო მუშაობა მიმდინარეობს სადაზღვევო პროგრამაში უფრო დიდი დეპოზიტების ჩართვის მიზნით. ყოველივე ამას კანონის ის დებულება გაანაპირობებს, რომ ფონდის სახსრების ინვესტირება მხოლოდ მცირერისკიან (კონკრეტულად, როგორც აღვნიშნეთ, 5 ათას ლარამდე) აქტივებშია შესაძლებელი, რისი მიზანი მათზე არსებული სახსრების შენარჩუნებაა.

ოთარ ტურაბელიძე

თუ რუსეთი ურთიერთობებზე მოდის, დაველაპარაკოთ!

ტერორისტული საფრთხე და საქართველო. აქამდე თითქოს რადიკალი ისლამისტები გვერდს უვლიდნენ ჩვენს ტერიტორიას, ამჯერად კი, როგორც ქართველი ექსპერტები მიიჩნევენ, ტერორისტული რუკის ეპიცენტრში აღმოვჩნდით. რამდენად არის ეს საფრთხე რეალური გამოწვევა საქართველოსთვის სწორედ იმ მუსლიმანური დასახლებების გათვალისწინებით, რაც საქართველოში ასე უხვადაა?! რას უნდა ველოდოთ რუსეთისგან და რამდენად აუცილებელია ერთიან კავკასიაში ცხოვრება, რომელსაც ექნება ერთიანი ეკონომიკური სივრცე, ერთიანი პარლამენტი და ერთიანი აღმასრულებელი ხელისუფლება?! ამის შესახებ For.ge ექსპერტ **ვაჟა ბერიძეს** ესაუბრა.

— რამდენად არის საქართველო მზად თანამედროვე გეოპოლიტიკური გამოწვევების გასამკლავებლად?

— ინტერესთა შესაჯერებლად, სამწუხაროდ, არაფერი კეთდება, რადგან ის ტვინის ტრესტები, რომლებიც მართავენ პროცესებს და, რომლებსაც ჩვენ ზოგჯერ მასონებს ვეძახით, ვერანაირ რეცეპტებს ვერ გვაძლევენ. ქართულ მაგალითს დავაკვირდეთ, როდესაც დასავლეთის დასაყრდენ ანალიტიკოსთა ფენა ვერ ახდენს ვერც ერთი ორიგინალური პოლიტიკური იდეის პროდუცირებას. ისე აღმოვჩნდით სპონტანური შეხედულებების ტყვეობაში, რომ მაინცდამაინც იმას ჩავჭიდებთ ხელს, რასაც დასავლეთში განათლებამიღებული პირი იტყვის, ან კიდევ, პერიოდულად ჩვენს არაფორმალურ მმართველთან დაახლოებული რომელიმე პირი გამოდის წინა პლანზე და მის აზრს ვებღაუჭებით.

ამ ურთულეს რეგიონში — საქართველოში არც ტვინტრესტი არსებობს, არც ისეთი გაერთიანება, სადაც ადამიანები თანამედროვე გეოპოლიტიკური გამოწვევების შესახებ იმსჯელებენ. ელემენტარულად, დასავლეთს არ შეუძლია ყველა ლოკალური რეგიონული გეოპოლიტიკური სტრატეგიის შემუშავება. ამაზე მსჯელობაა საჭირო, რაზეც ვერც ქართული ოფიციოზი და ვერც ქართული პოლიტიკური კლასი ღირსეულ რეაგირებას ვერ ახდენს. ამიტომ უარყოფითი პროცესები კვლავაც განვითარდება. გლობალურ კონფლიქტებს არ ველი, მაგრამ ფეთქებადსაშიში ვითარება ჩვენს რეგიონში კვლავაც გაგრძელდება.

არავინ იცის, უკრაინაში როგორ განვითარდება მოვლენები, რამდენად შეიბოჭება რუსეთი ეკონომიკური სანქციებისა და საპრეზიდენტო არჩევნების თავისებურებებით, რამდენზეა წამსვლელი ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი და ვინ დაალაგებს ვითარებას კავკასიაში, რომელიც თავისი რეალობით და თვისებრივი მდგომარეობით არის ახალი ბალკანეთი დანარჩენი მსოფლიოსთვის.

— თქვენ ადრე ახსენეთ საქართველოს სირიიზაციისა და იემენიზაციის საფრთხე. ბოლოდრონდელ მოვლენათა გათვალისწინებით, ალბათ, ეს საფრთხე მოხსნილი არ იქნება.

— აქცენტებმა, რომლებიც დღეს სირიასა და ისლამური სახელმწიფოს არეალში ძევს, შესაძლოა, კავკასიაშიც გადმოიწიოს იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენი დემოკრატია ისეთი ტემპით არ ვითარდება, როგორც საჭიროა, ხოლო სომხური და აზერბაიჯანული დემოკრატია ავტორიტარიზმის ელემენტების შემცველია. აქედან გამომდინარე, ავტორიტარიზმის პირობებში მასის ამბოხის დიდი ხიფათის ალბათობა არსებობს. შეგახსენებთ, ჰოსნი მუბარაქი 25 წელი ერთპიროვნულად მართავდა ეგვიპტეს. „ძმები მუსლიმანები“ მის დროს ან ციხეებში იყვნენ ჩაყრილნი ან შერეკილნი მასის წიაღში. თუმცა ერთ მშვენიერ დღეს არაბული გაზაფხულის ფარგლებში იქაც დაიწყო გამოსვლები, ხელისუფლებაში „ძმები მუსლიმანები“ მოვიდნენ და დასავლეთიც იძულებული გახდა, სულ სხვა სპეციფიკური დემოკრატიული რეჟიმი დაემყარებინა სამხედრო აქცენტებით. ასეთმა ტენდენციებმა შესაძლოა, ჩვენს რეგიონშიც გადმოიწიოს. ამისთვის საჭიროა კავკასიური ერთობა, კავკასიური პოლიტიკური კლასის შეთანხმებული მოქმედება, ურთიერთობის გარკვევა ჩვენივე ინიციატივითა და შუამავლობით. ურთიერთობის გარკვევა სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის სწორედ ქართველების შუამავლობით უნდა წარიმართოს, ხოლო ქართველებსა და აფხაზებს შორის — ბაქოსა და ერევნის შუამავლობით. უნდა მოვემზადოთ ჩვენივე სუვერენიტეტისა და ეროვნული ინტერესების ხაზგასმული დაცვის პირობებში ერთიან კავკასიაში ცხოვრებისთვის. კავკასიაში, რომელსაც ექნება ერთიანი ეკონომიკური სივრცე, ერთიანი პარლამენტი და ერთიანი აღმასრულებელი ხელისუფლება ისე, რომ არ შეილახება არც ერთი ერისა და ეთნიკური ჯგუფის ინტერესები. ამისთვის მზადებას მე მიმდინარე წელს ველი და, ალბათ, ამ წელს რომელიმე საზოგადოება ან ცენტრი დაიწყებს ამ მიმართულებით კონკრეტულ ნაბიჯთა გადადგმას.

— ანუ ეს იქნება ერთიანი კავასიის იდეა, რაზეც თავის დროზე ილია ჭავჭავაძე პოემა „აჩრდილში“ საუბრობდა?

— დავაზუსტებ, რომ ეს იქნება ერთიანი მსოფლიოს იდეა, მაგრამ არა უსაზღვრებო და უეროვნებო მსოფლიოსი, არამედ ერთმანეთისგან გამიჯნული, მაგრამ ერთი ინტერესების, ერთი პრინციპების მქონე მსოფლიოსი, ადამიანის უფლებების პრიმატით, ეროვნულ ინტერესთა დაცულობით. სწორედ ამის ნაწილი უნდა გახდეს კავკასია და არა მოწყვეტილი გარეშე სინამდვილისგან. **ერთიანი კავკასია უნდა განვიხილოთ ირანის, თურქეთის, ჩვენს სამეზობლოში არსებული პოლიტიკური რეალობის ფონზე და რუსეთის ინტერესების კონტექსტით.** თავის დროზე, ერთიანი კავკასიური სახლის იდეა, რომელიც ზვიად გამსახურდიას ეკუთვნოდა, არ

საჭიროა კავკასიური პოლიტიკური კლასის შეთანხმებული მოქმედება და ურთიერთობის გარკვევა ჩვენივე ინიციატივით

დავაზუსტებ, რომ ეს იქნება ერთიანი მსოფლიოს იდეა, მაგრამ არა უსაზღვრებო და უეროვნებო მსოფლიოსი, არამედ ერთმანეთისგან გამიჯნული, მაგრამ ერთი ინტერესების, ერთი პრინციპების მქონე მსოფლიოსი, ადამიანის უფლებების პრიმატით, ეროვნულ ინტერესთა დაცულობით. სწორედ ამის ნაწილი უნდა გახდეს კავკასია და არა მოწყვეტილი გარეშე სინამდვილისგან.

შედგა, რადგან წინააღმდეგობაში მოვიდა მსოფლიოში არსებულ პროცესებთან. მართალია, რატომღაც სწორედ სამხრეთ კავკასიას გვირჩევენ ერთიანობისთვის, მაგრამ რეალურად სამხრეთ კავკასია არ არსებობს ჩრდილოეთ კავკასიის გარეშე. ჩრდილოეთ კავკასია კი რუსეთის სახელმწიფოს ნაწილია. სწორედ ამ საკითხებს სჭირდება გამოკვლევა და ამიტომაც ვახსენე ტვინის ტრესტები.

— საქართველოს მოსახლეობის ჭრელი ეთნიკური შემადგენლობა პერიოდულად თავის ტკივილი ხდება ჩვენი ქვეყნისთვის. ზოგჯერ წინ წამოიწევს ერთა ე.წ. თვითგამორკვევის მომენტი, ზოგჯერ ავტონომიებს ითხოვენ უსაფუძვლოდ. ამ პრობლემის გადაჭრის მეთოდი მსოფლიოშიც უცნობია, არათუ პატარა საქართველოში.

— როგორც ფრანგი განმანათლებლები ამბობენ, გენეტიკურად სტატიკური ერები არ არსებობენ. მე-16-17 საუკუნეებიდან, ცოტა უფრო ადრეც, იწყება აფსუების ჩამოწევა აფხაზეთის ტერიტორიაზე. ეს პროცესები პერმანენტულად მიმდინარეობდა, განსაკუთრებით, მონღოლების შემდეგ, თურქეთისა და სპარსეთის შემოსევის შედეგად კი რთული ვითარება შეიქმნა და არ რეგულირდებოდა ეს პროცესი, რადგან სამეფო-სამთავროებად დაშლილ საქართველოს არანაირი კოორდინაცია, ერთიანი მოქმედების გეგმა არ ჰქონდა. ეს სპონტანური პროცესი იყო და ამ პროცესის ნაწილი იყო ჩვენი მოძმე ხალხის, ჩრდილოკავკასიელების (ადიღეელებიდან დაწყებული, დაღესტნელი ეთნიკურ ჯგუფებით დამთავრებული) ჩამოსვლა. ზოგჯერ ლეკები საქართველოს სარბევად და საძარცვავად მოდიოდნენ, უფრო ადრე კი ისინი ქართველ მეფე-მთავრებთან ერთად იბრძოდნენ სულ სხვა მომთაბარე გადამთიელების წინააღმდეგ. რაც შეეხება ავტონომიის მოთხოვნას, ეს დამოუკიდებლობის მოთხოვნის დაბალი საფეხურია. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული სახელმწიფოების დრო წარსულად ითვლება, მაინც ეს ფაქტორი გადამწყვეტია და დროა, კაცობრიობა დაფიქრდეს იმაზე, თუ შენ გარკვეული მოძრაობის პროცესში სასიცოცხლო სივრცე დაიმკვიდრე სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე, უნდა გაითვალისწინო კიდეც სატიტულო ერის უფლებებიც. ეს სულ ახლახან ცხადყო კატალონიის მაგალითმა, ასევე, შოტლანდიელების მაგალითმა. თანაც, გავითვალისწინოთ, რომ ეს სოციალურად უზრუნველყოფილი და დაპურებული ქვეყნების მოსახლეობაა, რომლისთვისაც ეროვნული ძალზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. ისეთ ქვეყნებში კი, როგორიც ჩვენია, გაეროს შესაბამისმა სტრუქტურებმა ცალსახად უნდა თქვან, რომ **არა მარტო უმცირესობას აქვს გამოყოფის უფლება სრულ დამოუკიდებლობამდე, არამედ სატიტულო ერსაც აქვს უფლება, თავად განაგებდეს თავის მიწა-წყალს.** რატომღაც ეს ამ ბოლო პერიოდში გამოირიცხება, რასაც ზოგჯერ კატაკლიზმამდე, ზოგჯერ გლობალური ხასიათის შემცველ პრობლემამდე მივყავართ.

საქართველოს ტერიტორიაზე ავტონომიის მოთხოვნის უფლება არავის არა აქვს, გარდა ეთნიკური აფხაზებისა. ისიც კიდევ გასარკვევია, აფშილებისა და აბაზგებიდან მოყოლებული აფსუებამდე რა გზა გაიარა ამ ეთნოსმა და რამდენად იყო იგი ქართული სახელმწიფოებრიობის და ეროვნული იდენტობის ორგანული ნაწილი. ამიტომ ავტონომიებით ნურავინ სპეკულირებს, თორემ კიდევ უფრო დიდი თავსატეხი გაუჩნდება მსოფლიოს, არა მარტო დასავლეთს, არამედ აღმოსავლეთსაც, მოხდება ყველაფრის იემენიზაცია და სირიიზაცია.

ძალიან შორს ნუ წავალთ, საერთოდ, წარსული ჩვენ დასაყრდენად გვინდა და არა ხალხებს შორის ახალი უთანხმოებების დასაფიქსირებლად, რასაც მილიონობით ადამიანის ბედის გამრუდება მოჰყვება. ეს ყველაფერი უკავშირდება გლობალურ დაპირისპირებას, დამოუკიდებლობის გზაზე საქართველოს დადგომას, სოციალური ფონის გაუარესებას, მსოფლიოში მიმოსვლის გაიოლებას. ასეთ ვითარებაში გაუჭირდა მთელ საქართველოს და, მათ შორის, გაუჭირდა პანკისის ხეობასაც. ამას დაერთო ჩეჩენი ხალხის ბრძოლა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის, რუსეთთან კონფლიქტი, შემდეგ იმავე კონფლიქტით ისეთ მდგომარეობაში ყოფნა, როგორშიც დღეს არის კადიროვის ხელისუფლება ჩეჩნეთში.

მეორე მხრივ, ჩრდილო კავკასიელებშიც შეაღწია ისლამის გლობალური რადიკალიზაციის ტენდენციამ. ეს ტენდენცია იგრძნობა პანკისის ხეობაშიც, გარკვეული თვალსაზრისით, ეს ტენდენცია არის აზერბაიჯანული ეროვნების საქართველოს მოქალაქეებს შორისაც, თავად აზერბაიჯანშიც, თურქეთშიც. თუმცა თურქეთის სახელმწიფო ძლიერია და ჯერჯერობით ახერხებს, გაუმკლავდეს ისლამის რადიკალიზაციიდან მომდინარე პრობლემებს. ჩვენი ქისტები ქართული ეთნოსისა და სახელმწიფოებრივი აზროვნების ნაწილნი არიან და, ამავე დროს, ისინი წარმოადგენენ ჩეჩნურ-ინგუშური სააზროვნო სივრცისა და თავისუფლებისთვის მოძრაობის ნაწილს. ეს ურთიერთობები, გარკვეულწილად, გააუარესა ჩეჩნების მონაწილეობამ აფხაზეთში ჩვენს ეთნოკონფლიქტში. სხვათა შორის, უნდა აღინიშნოს, რომ ინგუშები არ მონაწილეობდნენ ამ ეთნოკონფლიქტში, მაგრამ ჩეჩნების მონაწილეობამ გარკვეული დაღი დაასვა ამ ურთიერთობებს.

ქართველებმა, როგორც ეს სიძველითა და სულიერებით გამორჩეულ დიდ ხალხს სჩვევია, ეს ფაქტი შევუნდეთ ჩეჩნებს, რომელთაც ეგონათ, თითქოს ჩვენ მცირერიხოვან აფხაზ ხალხს ვჩაგრავდით. ეს მათი მცდარი წარმოდგენა იყო, მაგრამ მათ ასე სწამდათ. ჩვენ ერთმანეთს მივუტევეთ და, როდესაც რუსულ შეიარაღებულ ძალებთან კონფლიქტის შემდეგ საქართველოში ჩეჩნები დიდი რაოდენობით ჩამოვიდნენ, ჩვენი სახელმწიფოს იმდროინდელი მეთაური შევარდნაძე ჩავიდა ჩეჩნეთში და ჩეჩენი დევნილების ყოფნას ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე მიესალმა. ის მიესალმა, რადგან თავად ქართული საზოგადოება მიესალმა ჩეჩნების ყოფნას საქართველოში და არა კონკრეტულად შევარდნაძე.

— ხოლო უფრო ადრე ჩეჩნებმა შეიფარეს ჩვენი პირველი პრეზიდენტი — ზვიად გამსახურდია.

— დიახ, მანამდე ჩეჩნებმა ჩვენი დევნილი პრეზიდენტი მიიღეს გროზნოში და ღირსეულად უმასპინძლეს. ჩვენ მოვდივართ ქართული საარზროვნო სივრციდან, ჩვენ არ შეგვიძლია შეცდომის დაშვება, რადგან ის ხალხი ვართ, რომელსაც სწამს, „დღეს სტუმარია ის ჩემი, თუნდ ზღვა ემართოს სისხლისა“...

— სხვათა შორის, როცა დევნილმა ქართველებმა მადლობა გადაუხადეს ჯოხარ დუდაევს ზვიად გამსახურდიას შეფარების გამო, დუდაევმა ასეთი რამ თქვა, მადლობას მე რატომ მიხდით, როცა „სტუმარ-მასპინძელი“ თქვენი დაწერილიაო.

— რა თქმა უნდა, ვაჟა-ფშაველა ქართველების სულისთქმაა. აქედან გამომდინარე, ჩვენი სახელმწიფოს იდეოლოგიაც ამას ეფუძნება და არა პოპულისტურ ნაციონალიზმს. ამიტომ ჩვენ უფრო მეტად უნდა მოვუსმინოთ ქისტებს, კონფლიქტის დროს კი არ უნდა ადიოდნენ ხეობაში ტელეჯგუფები, ეძებდნენ იქ სენსაციას და მწვავე თემებს. არ არის ჩვენი ქვეყანა ისე დიდი, რომ რომელიმე ერთი სოფლის თუ პატარა დაბის მდგომარეობა ჩვენგან შორს იყოს. წარსულ 25 საუკუნეში უარეს დღეშიც ყოფილა საქართველო, მაგრამ გაუძლია და ამასაც გავუძლებთ. თავის მხრივ, პანკისელებმაც უნდა იცოდნენ, რომ მათი თანამოქალაქეების, მათი ეთნიკური მოძმეების ნაწილი „ისლამური სახელმწიფოს“ რიგებში იბრძოდა და, აქედან გამომდინარე, ქართული სახელმწიფო ვალდებულია, თავის სტრატეგიულ პარტნიორებთან ერთად ისე მოიქცეს, როგორც ამას ცივილიზებული სამყაროს ნორმები მოითხოვს.

— თქვენ აღნიშნეთ, რომ მსოფლიო იცვლება, თუმცა გამუდმებით უცვლელი რჩება პუტინის მენტალობა და საბჭოური ნოსტალგია. გრიგორი კარასინი გვარწმუნებს, რომ მიმდინარე წელს მოსკოვი მზადაა თანამშრომლობისთვის და ქართული მხარის ადეკვატურ რეაქციას ელოდება. ამ მხრივ ელით გამონათებებს?

— დემეტრე თავდადებული რომ ჩავიდა მოვაკანში, საილხანოში, სადაც თავი მოაჭრეს, განა არ იცოდა, რისთვის მიდიოდა? მაგრამ **იმპერიასაც უნდა ელაპარაკო და შენი დაქცევით დაინტერესებულ ძალასაც, იქნებ, რაღაც შეხების წერტილები აღმოჩნდეს.** იმის შიშით, ვაითუ რუსეთმა საქართველოზე ზეგავლენა არ მოახდინოს, აქ არ დაიწყოს დასაყრდენის ძიება, დაფინანსება, ორმაგი თამაშები, ამის გამო თუ ქვიშაში წაიყარე თავზე და სირაქლემასავით თავი ქვიშაში ჩარგე, არაფერი გამოვა. დიახ, კარასინთან უნდა დაჯდე და ელაპარაკო. შესანიშნავი დიპლომატი და გონიერი კაცი ზურაბ აბაშიძე, რომელიც საქართველოს არც ერთ სხვა მოქალაქეზე ნაკლები პატრიოტი არ არის, აქვს პასუხისმგებლობა საზოგადოებისა და შთამომავლობის წინაშე და დადის მასთან შეხვედრებზე. ასევე, უნდა მოხდეს ჟენევის ფორმატის უფრო ეფექტურად გამოყენება. უნდა ჩავიდნენ მოსკოვში სახელმწიფოს ოფიციალური წარმომადგენლები, მეცნიერები.

რუსებთან საუბარი ძნელი იქნება, რადგან ახლომხედველური ცნობიერების ელიტაა დღეს რუსეთში, განსხვავებით რუსი ხალხისგან, რომელზეც ვინც რა უნდა იძახოს, მაინც არსებობს საზოგადოების პროგრესული ნაწილი და არსებობს კონსერვატიული, რეგრესული და რეაქციონერი ფრთა რუს საზოგადოებაში. უნდა ველაპარაკოთ რუსებს, ჩვენ კარგად ვიცით რუსული მენტალიტეტი, რუსეთში მდგომარეობა შეგვიქმნია. ბოლოს და ბოლოს, რუსეთის იმპერიის წიაღში ფენიქსისებრ აღგვიდგენია საქართველო, როცა იგი, ფაქტობრივად, აღარ არსებობდა და ქართლ-კახეთის სამეფოდ შევიდა რუსეთის შემადგენლობაში. 700 ათასი კაცი იყო მაშინ დასახლებული რუსეთის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მესხეთ-ჯავახეთის ჩათვლით. ჩვენ კარგად ვიცით რუსეთის იმპერიაში თვითდამკვიდრების პროცესი. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს გეოსტრატეგიული მიმართულების, ევროატლანტიკური კურსის შეცვლას, მაგრამ, თუ რუსეთი მოდის ურთიერთობაზე, დაველაპარაკოთ.

ესაუბრა
მანანა ნოზაძე

ერთადერთი შეთანხმება, რომლითაც რუსეთი საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას აღიარებს

შარშან გააქტიურდა საქართველოსა და რუსეთს შორის 2011 წელს მიღწეული შეთანხმების პრაქტიკულად ამოქმედების საკითხი, რომელიც აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის გავლით მოძრავი ტვირთების აღრიცხვას გულისხმობს. დოკუმენტზე მუშაობა, პრაქტიკულად, დასრულებულია და არსებობდა მოლოდინი, რომ ის უკვე მიმდინარე წლის იანვრიდან ამოქმედდებოდა. თუმცა, ექსპერტთა ნაწილი იმასაც აღნიშნავს, რომ პროცესი შესაძლოა, კვლავ გაიწელოს.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ამერიკული მხარის, კონკრეტულად კი, პრეზიდენტ ობამას დაინტერესებით, საქართველო დათანხმდა, მხარი დაეჭირა რუსეთისთვის, გამხდარიყო „ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის“ (WTO) წევრი. მას შემდეგ, რაც WTO-ს წევრმა საქართველომ წინააღმდეგობა აღარ გაუწია ორგანიზაციაში რუსეთის მიღებას, სანაცვლოდ, რუსული მხარე დათანხმდა საქართველოს მოთხოვნას, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოძრავი ტვირთები ნეიტრალურ მხარეს აღერიცხა და ინფორმაცია საქართველოსთვის მიეწოდებინა.

„ნაციონალური მოძრაობა“ დროდადრო ხელისუფლებას საყვედურობს, რომ ის არ ჩქარობდა ამ დოკუმენტის ამოქმედებას, რომელიც ქვეყნისთვის ძალზე მნიშვნელოვანია, თუმცა არავინ იცის, დათანხმდებოდა თუ არა ამას თავად რუსეთი, 2012 წელს.

ექსპერტი **ვახტანგ მაისაია** აცხადებს, რომ დოკუმენტი, რომელიც თავის დროზე „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მოამზადა, ვერ ამოქმედდა იმიტომ, რომ მოხდა ხელისუფლების შეცვლა და მიმდინარეობდა მოლაპარაკებები, რა და როგორ უნდა გაკეთებულიყო.

„ახალი ხელისუფლების პირობებში მოხდა ურთიერთობების გადაფორმატება და ბუნებრივია, ახალ ხელისუფლებას დრო სჭირდებოდა იმისათვის, რომ უფრო ღრმად გაცნობოდა იმ პირობებს, რაც ამ დოკუმენტში იყო ჩადებული. ისიც ვიცით, რომ ახალი ხელისუფლება წინამორბედის საგარეო კურსს არ ემიჯნებოდა, მაგრამ ახალმა ხელისუფლებამ განსხვავებული ეკონომიკური პოლიტიკა აირჩია და იყო ეკონომიკური ნიუანსები, რომელიც ჩაღრმავებას მოითხოვდა“, — აცხადებს მაისაია.

როგორც ანალიტიკოსი აღნიშნავს, იყო სადავო საკითხიც — სად უნდა განთავსებულიყო სასაზღვრო-გამშვები პუნქტები და ბოლო ინფორმაციით, შვეიცარიულ კომპანიას შეეძლება მონაკვეთის ნებისმიერ ადგილას შეამოწმოს ტვირთები, რითაც სავარაუდოდ, პრობლემა საბოლოოდ უნდა მოგვარდეს.

როგორც ვახტანგ მაისაია აცხადებს, ჩვენ ჩვენი ვალდებულებები გვაქვს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციასთან, ვართ სატრანზიტო ქვეყანა და ამ ხელშკრულების დროულად ამოქმედება, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ დადებით შედეგს მოიტანს, ჩვენსავე ინტერესშია.

„თუ არ ამოქმედდა, მაშინ უნდა ვეძებოთ საფრთხეები — გვახსოვს, რუსეთის მუქარა აფხაზეთის რკინიგზის ამოქმედებასთან დაკავშირებით — როდესაც შვეიცარიული კომპანია მუდმივად გააკონტროლებს ტვირთებს, ეს გარკვეული, შემაკავებელი ფაქტორიც კი იქნება იმ შემთხვევაში, თუ რუსეთის მხრიდან აგრესიის საფრთხე გაიზრდება“, — აღნიშნავს მაისაია.

ამასთან, მაისაია დასძენს, რომ ამით რუსეთს ვუსპობთ შესაძლებლობას, ჩვენზე სამხედრო ზეწოლა გამოიყენოს.

რაც შეეხება პოლიტიკურ მხარეს, მაისაიას თქმით, ამით ფაქტობრივად, რუსეთს უკან მიაქვს თავისი აღიარება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის.

„მე ასე მესახება და ამ ინიციატივას ყველანაირად მხარს ვუჭერ. ეს ხელს შუწყობს იმას რომ ე.წ. შავი ტრანზიტი არ განვითარდეს. მით უმეტეს, რომ ტვირთები მხოლოდ რუსეთიდან არ იმოძრავებს, საქართველოს გაფორმებული აქვს თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები სხვადასხვა ქვეყნებთან, ამოქმედდება თბილისი-ყარსის მაგისტრალიც და ტვირთების მოძრაობა უკვე სერიოზულ მასშტაბებს მიიღებს; საქართველო კიდევ უფრო მყარად მიუერთდება „ერთი გზა — ერთი სარტყელის“ პროექტს, რომელშიც 400 მილიარდი დოლარი უნდა ჩაიდოს — ეს სატრანზიტო ჰაბად გადაქცევის პერსპექტივაა“, — აცხადებს მაისაია.

მაისაია თვლის, რომ ამით რუსეთთან ურთიერთობების დალაგების პრობლემაც იხსნება, რისკენაც დასავლეთი მუდმივად მოგვიწოდებს.

როგორც ჩანს, რუსული მხარე ასე არ ფიქრობს. როგორც **რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინი აცხადებს, რომ დაინტერესებულნი არიან კეთილმეზობლური ურთიერთობების აღდგენით, მაგრამ ეს არ მოხდება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხზე საბედისწერო გადაწყვეტილებებზე უარის თქმის ხარჯზე.**

როგორც ქართული მხარე აღნიშნავს, **ხელშეკრულება რუსეთმა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში მის გაწევრებაზე საქართველოს თანხმობის სანაცვლოდ გააფორმა. აქედან გამომდინარე, პრაქტიკულად, ეს ოფიციალური მოსკოვის მიერ ხელმოწერილი ერთადერთი შეთანხმებაა, რომლითაც რუსეთი საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას აღიარებს. შესაბამისად, ექსპერტთა უმრავლესობის აზრით, მის ამოქმედებას საქართველოსათვის დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს.**

რაც შეეხება აღნიშნულ ხელშეკრულებას, შარშან ქართულმა მხარემ რუსეთ-საქართველოს საზღვარზე ტვირთბრუნვის მონიტორინგის შესახებ შვეიცარიულ კომპანია SGS-სთან გასაფორმებელ დოკუმენტზე მუშაობა დაასრულა და რუსეთისგან ბოლო დეტალების დაზუსტების რეჟიმში გადავიდა.

ქართული მხარის ცნობით, არავითარი ახალი ელემენტების შემოტანა, გარდა იმისა, რა ვალდებულებებიც 2011 წელს გაფორმებული შეთანხმებით არის აღებული, არ იგეგმება.

შეგახსენებთ, რომ 2011 წლის 9 ნოემბერს შვეიცარიის ქალაქ ჟენევაში, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრებასთან დაკავშირებით, შვეიცარიის კონფედერაციის შუამავლობით მიმდინარე მოლაპარაკებების ფარგლებში საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის მთავრობებმა დოკუმენტების პაკეტს მოაწერეს ხელი.

პირველი — საბაჟო ადმინისტრირებისა და სასაქონლო ბრუნვის მონიტორინგის მექანიზმის ძირითადი პრინციპების შესახებ ორმხრივი შეთანხმებაა, მეორე — ურთიერთგაგების მემორანდუმი, რომელიც შვეიცარიის, როგორც ნეიტრალური, მესამე მხარის როლს განამტკიცებს.

სამივე მხარემ — საქართველომ, რუსეთმა და შვეიცარიამ გაცვალეს დოკუმენტები იმ საერთაშორისოდ აღიარებული ნეიტრალური კერძო კომპანიის მოქმედების პირობების განსაზღვრის მიზნით, რომელსაც მონიტორინგის განხორციელების მანდატს შვეიცარიის მთავრობა მიანიჭებს.

საბაჟო ადმინისტრირებისა და სასაქონლო ბრუნვის მონიტორინგის მექანიზმი მოიცავს ელექტრონულ მონაცემთა გაცვლის სისტემას (EDES) და საერთაშორისო ზედამხედველობის (IMS) სისტემას.

ელექტრონულ მონაცემთა გაცვლის სისტემის საშუალებით ნეიტრალური კერძო კომპანია ტვირთის სავაჭრო დერეფნებში შესვლამდე რისკის მართვის უზრუნველყოფის მიზნით სასაქონლო დეკლარაციებიდან და ტვირთებზე წინასწარი ინფორმაციიდან შესაბამის მონაცემებს მოიპოვებს.

მხარეები ნეიტრალურ კერძო კომპანიას სავაჭრო დერეფნებში შემავალი ან დერეფნებიდან გამავალი ყველა საქონლის შესახებ შემდეგ მონაცემთა ერთობლიობას წარუდგენენ.

EDES-ის ინფორმაცია ხელმისაწვდომი იქნება შვეიცარიის მიერ დაქირავებული ნეიტრალური კერძო კომპანიისთვის.

ხელშეკრულების ფარგლებში **საუბარია სამი დერეფნის ამოქმედებაზე: პირველი აფხაზეთის მიმართულებას სანაპირო ზოლის გასწვრივ ფარავს — რუსეთში მდებარე დასახლება ადლერის სიახლოვეს იწყება, კრასნოდარის მხარეში და მთავრდება ზუგდიდში. აღნიშნული დერეფანი ფარავს ტერიტორიის ნაწილს გაგრის, გუდაუთის, ასევე სოხუმისა და ოჩამჩირის პორტების სანაპირო ზოლის მახლობლად.**

მეორე დერეფანი ცხინვალის რეგიონში ტრანსკავკასიურ მაგისტრალს მიუყვება, რომელიც ჩრდილოეთ ოსეთს როკის გვირაბით ცხინვალის რეგიონთან აკავშირებს. იგი ჩრდილოეთ ოსეთის სოფელ ნართან ახლოს მდებარე ტერიტორიიდან იწყება, საზღვრის სამხრეთ ოსეთის მონაკვეთიდან დაახლოებით ათ კილომეტრში, შემდეგ გაივლის როკის გვირაბს და ცხინვალისკენ გრძელდება, საიდანაც სამხრეთით, ბოლო წერტილისკენ, ანუ გორისკენ მიემართება.

მესამე დერეფანი კი ზემო ლარსი-ყაზბეგის სასაზღვრო-გამშვებ პუნქტზე მდებარეობს.

შეირჩა კერძო შვეიცარიული კომპანია SGS, რომელმაც მონიტორინგი უნდა განახორციელოს, საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობით, კონტრაქტი საქართველოს შემოსავლების სამსახურსა და შვეიცარიულ კომპანიას შორის გასული წლის 19 დეკემბერს ბერნში გაფორმდა, რასაც რუსული მხარის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

შეთანხმებაში არსად არის დაკონკრეტებული, ზუსტად რა ადგილებზე მოხდება ტვირთების გაკონტროლება. სავაჭრო დერეფნები გეოგრაფიული კოორდინატების მიხედვით არის განსაზღვრული. ამ გზით თავიდან იქნა აცილებული საქართველოსა და რუსეთს შორის სახელმწიფო საზღვრის დაფიქსირების აუცილებლობა, რაც მოლაპარაკებას უკიდურესად გაართულებდა.

პროცესის დასაწყებად საჭიროა, რუსეთის ფედერაციამაც გააფორმოს ანალოგიური კონტრაქტი SGS-თან, ქართული მხარე იმედოვნებს, რომ ხელშეკრულება რუსეთის მხრიდანაც დროულად გაფორმდება და უკვე მხარეები გადავლენ იმპლემენტაციის ფაზაზე.

მარიამ თოდაძე

საქართველოს მუსლიმთა სამმართველო სკოლებში რელიგიის სწავლებას მხარს უჭერს

როგორც მუსლიმთა სამმართველოს შეიხმა რამინ იდიგოვმა სამების ახალგაზრდულ ცენტრში განაცხადა, მუსლიმთა სამმართველო მოსამზადებელ სამუშაოებში აქტიურად ჩართვას გეგმავს.

მისივე განცხადებით, მთავარია საგნის სწავლება ობიექტურად მოხდეს და ახალგაზრდებს საშუალება ჰქონდეთ ყველა ძირითადი რელიგიის შესახებ მოისმინონ.

„ეს ინიციატივა ჩვენც გვქონდა და ვეთანხმებით რომ რელიგიების ისტორია უნდა ისწავლებოდეს. მნიშვნელოვანია, რომ რელიგიების ისტორია ობიექტურად, თანაბრად ისწავლებოდეს, რათა მომავალ თაობას შემწყნარებლობისა და პატივისცემის გრძნობა გაუძლიერდეს და ჩვენ აქტიურად ჩავერთვებით მოსამზადებელ სამუშაოებში“, — განაცხადა რამინ იდიგოვმა.

საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარე მარიამ ჯაშის განცხადებით, შესაძლებელია, რელიგიის ისტორიის სწავლება გარკვეულ მუნიციპალიტეტებში 2019 წლის სექტემბრიდან დაიწყოს.

ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. დელეგაცია ნაურუს რესპუბლიკას სტუმრობს

ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. დელეგაცია ნაურუს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების 50-ე წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში მიიღებს მონაწილეობას.

„ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში ჩვენ მონაწილეობას მივიღებთ ნაურუს დამოუკიდებლობის გამოცხადების 50-ე წლისთავისადმი მიძღვნილ სადღესასწაულო ღონისძიებებში. ვიზიტის ფარგლებში შევხვდებით ნაურუს პრეზიდენტ ბარონ ვაქას“, — ამის შესახებ „სპუტნიკს“ ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრმა დაურ კოვემ განუცხადა. დაურ კოვეს გარდა ნაურუში გაემგზავრნენ ე.წ. პარლამენტის ე.წ. ვიცე-სპიკერი საიდ ხარაზია და ე.წ. საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი არტურ გაგულია. ნაურუში ასევე იმყოფება ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრი დიმიტრი მედოევი.

ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №269

არისტოკრატია ჩვენში და სხვაგან

საუკუნის წინათ გამოცემულ წიგნში „Родовья прозвания и титулы в Росии» ავტორი ე. კორნიევიჩი სხვადასხვა ისტორიულ წყაროებს იმოწმებს და ასკვნის: „Все древнее наше дворянство не русского а иноземного происхождения», ანუ ისინი მრავალი საუკუნის წინათ შემოსული ლიტველების, პრუსიელების, გერმანელების, შვედების, ინგლისელების, ბერძნების და სხვათა შთამომავლები არიან. ასახელებს ცნობილ, მისი მტკიცებით, არარუსული წარმომავლობის არისტოკრატიულ გვარებს, როგორიცაა: შერემეტიევი, მოროზოვი, სოლტიკოვი, გოლიცინი, ტოლსტოი, გოდუნოვი, ლერმონტოვი, პუშკინი და ა.შ.

ქართული არისტოკრატიისთვის არა მარტო წარმომავლობის გენეტიკური საკითხები, არამედ შემდგომი, არისტოკრატიის ინტელიგენციაში გადასვლის, ინტეგრაციის პროცესებიც რუსულისგან რამდენადმე განსხვავებული იყო.

„არსებობს არა მარტო ორი გაგება, არამედ ორი რეალობაც: ხალხი და ინტელიგენცია... ყველაზე არსებითში მათ ერთმანეთის არ ესმით“... – რუსმა პოეტმა ალექსანდრ ბლოკმა ეს „ყველაზე არსებითი“ ბოლომდე არ გაშიფრა, თუმცა იქვე ა. პუშკინიც გაიხსენა, რომელმაც რუსეთის ეროვნული ტრაგედიის მიზეზად ამ ორი სოციალური ფენის გამთიშველი „НЕДОСТУПНАЯ ЧЕРТА» დაასახელა.

საქართველოში ოდნავ განსხვავებული რეალობა გახლდათ. მაგალითისთვის: ავტორი, უმნიშვნელოვანეს ფაქტებზე დაყრდნობილი გამოკვლევებისა – „მასალები ქართული ინტელიგენციის ისტორიისთვის“, არჩილ ჯორჯაძე, სწორედ ინტელიგენციამ მიივიწყა. სიკვდილის შემდგომ მისი საფლავისთვისაც მხოლოდ ე.წ. უბრალო ხალხმა, მწერლისა და მეცნიერის იდეების სრულიად არმცოდნე და ვერგამგებმა ადამიანებმა იზრუნეს...

ფაქტები ყოველთვის არის რაღაც ნიშანი, მაგრამ ისიც რეალობაა, რომ ამავე სოციალური ფენის სხვა წარმომადგენლები, სიბნელისა და გაუნათლებლობის გამო, ყოვლად უკომპლექსოდ, საკუთარ იმპერატივს აცხადებდნენ საზოგადოების მართვაზე, თვით ინტელექტუალურ სფეროშიც კი... არსებობდა თუ არა ჩვენშიც ორი დაპირისპირებული საწყისი: ხალხი და ინტელიგენცია?.. ლათინური სიტყვა „Intelligens“ გონიერს გულისხმობს, მაგრამ ვინაიდან ინტელიგენციის ფენა სხვადასხვა კლასებისგან ყალიბდება, თავის განსაკუთრებულ, მყარ საყრდენებს და ადგილს ვერ პოულობს და ხშირად მის მოქმედებას იმ კლასების ინტერესები განსაზღვრავს, რომელთაც ემსახურება.

ინტელიგენციის, როგორც მსახურის როლმა, ათეული წლების მანძილზე მისი ავტორიტეტი შეარყია. ეპითეტები: „უხერხემლო ინტელიგენტი“, „კრიმინალური ინტელიგენცია“, „ანგაჟირებული ინტელიგენცია“, – უფრო მეტად მასასთან გაიგივებული სუბიექტების ნებას გამოხატავს, ვიდრე გონიერი, უკომპრომისო ინდივიდისა...

პროლეტარული რევოლუციის გარიჟრაჟზე, 1905 წლის 20 თებერვალს, ისაკის ტაძარში ვოლინის ეპისკოპოსმა ანტონმა ქადაგება წარმოსთქვა, სადაც საშინელი მსჯავრი დასდო რუსულ ინტელიგენციას, ე.წ. რუს განათლებულ საზოგადოებას, რომელმაც „უარჰყო ქრისტე“ და რომელსაც „სძულს რუსეთი“, კერძოდ, მდაბიო რუსი ხალხი. „გახსოვდეთ ისინი: ღვთის მგმობელნი, მკრეხელნი, მეამბოხენი, რომელთაც თქვენი მოწყვეტა სურთ მარადიული ცხოვრებისაგან. ქრისტეს მეუფებისგან, მათ სძულთ რუსეთი, მისი დაღუპვა აქვთ განზრახული და თუკი თავის მიზანს მიაღწევენ, მაშინ რუსი ხალხი ყველაზე უბედური ერი იქნება... ისინი შეუპოვარნი და დაუნდობელნი არიან და ბოლოს, გაანადგურებენ წმინდა ტაძრებს, წმინდა ნაწილებს გარეთ გამოყრიან და ანატომიურ თეატრში გამოფენენ... რუსეთი მრავალ ნაწილად დაიშლება – დაწყებული განაპირა მხარეებით და თითქმის შუაგულით დამთავრებული...“

თამარ ერისთავი, მანია ელიოზიშვილი
და მერი წერეთელი-დადიანი

დიმიტრი მერეჟკოვსკიმ მართლმადიდებლური ეკლესიის წიაღიდან გამოსულ ამ ხმას „რუსული ინტელიგენციის განკითხვის დღე“ უწოდა.

ფასეულობათა აღრევასა და გადაფასებას ყოველთვის ტერმინოლოგიური ქაოსიც ახლავს. ბრბოს წინა პლანზე მოზღვავებას კი „კეთილშობილთა“ და „წარჩინებულთა“ სახელების დევალვაცია... იმის გამო, რომ ინტელიგენცია თავისივე თვისებებიდან გამომდინარე არ გახლავთ შეუვალი ერთობა, მისი საზღვრები ბრბომ ყოვლად უცერემონიოდ გადალახა და ეს სისხლის აღრევასავით სტიქიური პროცესი უმართავი გახდა. ქართულ სინამდვილეშიც გამოჩნდნენ ინტელიგენციის სალდაფონები, ქალბატონ ბაბო დადიანის მოგონებათა დღიურში აღწერილია ანალოგიური მაგალითები.

გადის დრო და სიტყვა „ინტელიგენტის“ ისევე, როგორც სიტყვა „არისტოკრატის“ ცნების თუ მოვლენის სწორად განსაზღვრისთვის აუცილებელი ხდება ეპითეტის თანხლება. მაგალითად, „ნამდვილი ინტელიგენტი“, „ნამდვილი არისტოკრატი“, „ჭეშმარიტი არისტოკრატი“... რომლის ინდივიდუალობა, დახვეწილობა, პასუხისმგებლობა დროის წინაშე, ესთეტიკური ბუნება და თუნდაც კლანური სიყვარული საკუთარი წრისა, მის მუდმივ გამორჩეულობას გამოხატავს.

* * *

სრულიად საიდუმლოდ, საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი 1929 წლის მაისი.

საკითხის არსი: „1924 წლის მენშევიკური ავანტიურის შემდგომ, საქართველოს მშრომელმა გლეხობამ სტიქიურად დაიწყო ყოფილ თავადთა და აზნაურთა გაყრა მათივე ბუდეებიდან და მოძრავი და უძრავი ქონების დანაწილება. ეს ძირითადად შეეხო იმ პირებს, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად, მონაწილეობდნენ კონტრრევოლუციურ მოძრაობაში...

გამოსახლების მასიური ხასიათის რეგულირებისთვის ცენტრალური კომიტეტის მიერ 1929 წლის 5 იანვარს მიღებულ იქნა დადგენილება „ყოფილი თავადების და აზნაურების ადმინისტრაციული წესით გამოსახლების შესახებ“.

დოკუმენტი იუწყება, რომ თავადებს, აზნაურებს, მემამულეებს უნდა ჩამოერთვათ ის მიწები, საცხოვრებელი ადგილები თუ მოძრავ-უძრავი ქონება, რაც მათ ჰქონდათ ოქტომბრის რევოლუციამდე. განკარგულება შემსრულებელს ავალდებულებს გამოსახლება-ჩამორთმევის საქმეები დასრულდეს 1929 წლის აგვისტომდე.

იქვე გამოთქმულია მოსაზრება, რომ საქართველოს ტერიტორიაზე კიდევ არიან დარჩენილნი მუშათა და გლეხთა ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილი ყოფილი თავადები და მემამულენი, ისინი აგრძელებენ თავიანთ მიწებზე ცხოვრებას და მავნებლურ გავლენას ახდენენ ადგილობრივ გლეხობაზე. „ვინაიდან ისინი არ აღმოჩნდნენ სათანადოდ იზოლირებულნი თავიანთი ყოფილი ადგილებიდან, მათი გავლენა ადგილობრივ გლეხებზე გრძელდება“.

დოკუმენტის ბოლოს საქართველოს ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობა (თავმჯდომარე მ. ცხაკაია, ბრძანებს: „პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა მოითხოვს დარჩენილი ყოფილი თავადებისა და მემამულეების იზოლაციას საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის მოსახლეობისგან, ანუ მათ თვალუწვდენელი საბჭოთა კავშირის თითქმის დაუსახლებელ რაიონებში ოჯახებიანად ასახლებენ. მოთხოვნა კონკრეტულია – За пределами Грузии საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი. ფ. 2284, პ. 3).

რაც შეეხება არისტოკრატიის „მავნებლურ გავლენას მოსახლეობაზე“, პარალელი ქალბატონ ბაბო დადიანის მოგონებიდან: „1946 წელი. მარტვილში ვინახულე ვანო გიორგის ძე კვეკველია, გიორგი შარვაშიძის ყოფილი მსახური (ლაქია), რომელიც ბაბუასთან თორმეტი წელი იყო. ვანო ჩვენს ოჯახში მოვიდა მაშინ, როცა გიორგი შარვაშიძე 38 წლის გახლდათ და სიკვდილამდე არ მოშორებია... ვანო ახლა არის სამოცდარვა წლის, ძალიან გამოცვლილი. მახსოვს იგი, შესანიშნავად გამოწყობილი ჩოხა-ახალუხში. ახლა რაღაც საშინელი შეხედავი იყო, სალდათის ძველ „ბატინკებში“ და ძველ, დაკერებულ შარვალში... ხელი გავუწოდე და ვუთხარი: „ვანო, მიცანი? ბაბუსია ვარ“... დიდის მოწიწებით თავდახრილმა, ორივე ხელში მოკრძალებით ჩაიდო ჩემი ხელი და ემთხვია.

წავედით, დავსხედით მარტვილის ბაღში. ვანოს მოვაყოლე, თუკი რამ ახსოვდა.

– კნიაზს ძალიან ვუყვარდი და შეჩვეული ვიყავი მასთან, მე ვიცოდი ყველა მისი ჩვეულება, – მეუბნება ვანო, – ხომ გახსოვთ, კნიაჟნა, რამხელა ოთახი ჰქონდა და მთელი კედლები სავსე იყო წიგნებით... ბარიატინსკი რომ გარდაიცვალა, კნიაზი წამრძანდა პეტროგრადში, სადაც მეც ვახლდი. ვცხოვრობდით სასტუმროში. ფული ყოველთვის მე მებარა, სასტუმროების გასტუმრებას და სხვა ხარჯებს, ყველაფერს მე ვისტუმრებდი. კნიაზი ანგარიშს არ მთხოვდა...

რა დღე მინახავს, ბატონო კნიაჟნია, რა დღე და სად ჩავარდი ახლა!.. – ვანო მიიხედ-მოიხედავდა და მუხლებზე დაარტყამდა ხელს, – ეჰ, რა ხალხი მინახავს ბატონთან!..

* * *

90-იან წლებში დოქტორმა ჯონ სპელრმა „ისთ ევროპის“ ყოფილმა რედაქტორმა, ქალბატონ ბაბო დადიანს წერილობით მიმართა კონსულტაციისთვის დადიანთა საგვარეულო შტოსთან დაკავშირებით. აღნიშნა, რომ ეს ძალიან სჭირდებოდა მის მეუღლეს, ქეთლინ შედაქერს სამეცნიერო ნაშრომისთვის გენეოლოგიური კონცეფციის შესახებ.

დოქტორი სპელერი იმავე წერილში იმე-

საშა ერისთავი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №8, 12

ელისო დადიანი

ქვეყნის „დებახალიზაცია“

მიუხედავად **იმისა, რომ ბევრი დამიწერია საქართველოში აგორებული ახალი „ტალღის“, ე.წ. ნარკოპოლიტიკის „დეკრიმინალიზაციისა“ და „ლიბერალიზაციის“ შესახებ, საზოგადოების გარკვეული ნაწილის შეფასებებმა, იმ ხალხის მიერ გამოთქმულმა მოსაზრებებმა, რომელთაც დიდ პატივს ვცემ, გადამაწყვეტინა, რომ კიდევ ერთხელ შევეხო ამ მეტად საჭირბოროტო თემას.**

სამწუხაროდ, დარწმუნებული ვარ, რომ ისინი, ვისაც ეს წერილი ეხება, ნამდვილად არ წაიკითხავენ, მაგრამ იქნებ ხელისუფლების ყურამდე მაინც მივიდეს და ქმედითი, რეალური ნაბიჯების გადადგმაზე იფიქრონ. იფიქრონ, გადადგან კიდეც და ნუ აღმოჩნდებიან ვითომდა „დემოკრატიისა“ და „ადამიანის უფლებების დაცვის“ ეგიდის ქვეშ აგორებული, ყოვლად ანტისახელმწიფოებრივი კამპანიის მძევალნი. კამპანიის, რომლის მთავარი მიზანი არა დემოკრატია, არამედ ქვეყანაში ნარკოტიკების თავისუფალი გასაღების უფლება და რეალურად კი „კაიფში“ სიკვდილის უფლების გაცემაა.

ამ თემას გამოეხმაურა საქართველოს პარლამენტის წევრი ნინო წილოსანი, რომელმაც სოციალურ ქსელში რამდენიმე პოსტი გამოაქვეყნა.

შემაძრწუნებელი იყო ის თავდასხმები, რაც დეპუტატის განცხადებებს მოჰყვა, მაგრამ კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ მისი მოსაზრებები და შეფასებები აბსოლუტურად ზუსტია და ვერანაირი „გამპრავებელი“ მას ვერ მოერევა.

„საინტერესო, საოცარი და გენიალური საზოგადოება ვართ და რაც მთავარია, ყველაფერში პროფესიონალურად გათვითცნობიერებული. თან გვიკვირს ნარკომანიის მიმართ რომანტიული განწყობები რატომ არის და ამდენი ნარკოდამოკიდებული რატომ ჰყავს ქვეყანას“...

* * *

გავიგეთ ბახალა სახელი და უცბად აურიამულდა საზოგადოება, ოღონდ არც კი ვიცით, რისთვის მიუსაჯეს 8 წელი... თუ 45 აბი (400 გრამამდე) სუბოტექსი გამოსაზამთრებლად შეიძინა ან ის 843 აბი მძღოლს რომ გამოატანა, დიდი მარაგების გასაკეთებლად სჭირდებოდა. მაგრამ არა, ეს შინაარსი ვის აინტერესებს ან კიდევ უარესი, თუ დაინტერესდა და მაინც ასეთ ამბავში ხართ... მე პირადად საწინააღმდეგო კითხვა გამიჩნდა — წაყენებული მუხლიდან მინიმალური წელი რატომ მიუსაჯე , მუხლი ხომ 8-20 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებდა?!

...და კიდევ, შედარებები რომ მოყავთ სამი კაცის დამჭრელს, ერთი ადამიანის დამჭრელს იგივე როგორ მიესაჯაო, აი აქ ჩანს ზუსტად როგორი რომანტიკული დამოკიდებულება გვაქვს ნარკოგამსაღებლების მიმართ და რომ ვერც კი ვაცნობიერებთ იმ სიმძიმეს რასაც ნარკოგამსაღებელი ჰქვია... — წერს წილოსანი.

საოცარია, მაგრამ ამ ე.წ. „უფლებების დამცველთაგან“ ხმიანდება ყოვლად უაზრო მოსაზრება იმის შესახებ, რომ „ნარკოდამოკიდებული ადამიანი, მხოლოდ თავის თავს ვნებს“.

არც დაგასლოკინოთ „ბატონებო“, არც დაგასლოკინოთ! საიდან მოიტანეთ ეს სისულელე (გარკვეული აზრი ნებისმიერ სისულელეს აქვს, ამას კი არანაირი)?

გაუბედურებული ოჯახები, ობლად დარჩენილი შვილები, „ზადნით“ მოსიარულე ბავშვობის მეგობრები და რაც მთავარია — დაკარგული დრო! დრო, სადაც ბევრ ნიჭიერ ადამიანს, უამრავი კარგი საქმის გაკეთება შეეძლო.

გთავაზებთ ერთ-ერთ პოსტს იმ უამრავი გამოხმაურებიდან, რომელიც მოსაზრებას — „მხოლოდ თავის თავს ვნებს“ ეძღვნება:

„არ ვიცი, უნდა დავწერო თუ არა ეს, მაგრამ მოკლედ გეტყვით. ნარკოპოლიტიკის რეფორმას ქვეყნის ორგანიზმი ითხოვს და არა კონკრეტული ფერის ხმაური. მე პირადად ამ უბედურებამ ოჯახიდან 3 კაცი გამიუბედურა — ბიძა, რომელიც ვეღარ დადის, მამა, რომლის ენაც ჩაის „ტილოთი“ ეჭირა დედაჩემს, რო არ ჩაეყლაპა და ძმა, რომელიც ოდესღაც პერსპექტიული ფეხბურთელი იყო. არა ჩადებას! — გასაგებია, მომხმარებლებისთვის ნარკოპოლიტიკის ჰუმანიზაცია აუცილებელია... თუ ვინმეს რამეს ჩაუდებენ, პირველი მე ავყვირდები, მაგრამ უფლებების დაცვიდან რო პროპაგანდისკენ გადადიხართ, ერთი რამე იცოდეთ — თქვენი შვილები მომავალი უბედური მამები, ქმრები და ძმები არიან ამ მიდგომით! ხელისუფლებები მიდიან და მოდიან, მოზარდები ღრუბელივით იწოვენ „თემას“. ნარკომანი არ არის კეთროვანი, მაგრამ არც კაი ტიპია. რომანტიზმი ჩამოაჭერით ამ თემას. მოდაში ვიცი ჯინსი. ძალიან ზედაპირულად მოგიყევით ეს ამბავი და დანარჩენი თავად განსაზღვრეთ“.

* * *

ამ რაღაც „თეთრმა ხმაურმა“ უკვე მერამდენედ კიდევ ერთი „აქცია“ ჩაატარა.

ყველასთვის ცნობილია, რომ მსგავსი აქციების ჩატარებას, საკმაოდ სოლიდური დაფინანსება სჭირდება და აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ არცერთი ნარკომომხმარებელი ნამდვილად არ ამოიღებს „ზახოდისთვის დაზაგაჟნიკებულ მაყუთს“ და პლაკატის დახატვას არ მოახმარს (მთლად ასე დაქლიავებულებიც არ არიან). ცხადია, რომ ეს „ორგანიზაცია“ საიდანღაც იღებს საკმაოდ დიდ დაფინანსებას იმ აქციის ჩატარებისთვის, რომელზეც არცერთი თავმოყვარე ნარკოტიკის მომხმარებელი არასდროს არ მივა. არ მივა მრავალი ძალიან მარტივი მიზეზის გამო, რომლებსაც აქ არ ჩამოვთვლი.

საოცარია, მაგრამ ხელისუფლება რატომღაც არ ინტერესდება მათი დაფინანსების წყაროებით. ეს ხომ არ არის, ვთქვათ, ციყვებისთვის ფუღუროების მოწყობისთვის გამართული აქცია? აქ ხომ პირდაპირ ისმის მუქარები და ანტისახელმწიფოებრივი მოწოდებები. არ ინტერესდება და „რატომღაც“ კვლავ არის მონღოლების მონად ქცეული ხვარაზმელი გლეხის როლში და ვინმე დასავლურად განათლებული „უფლებადამცველი“, რომელსაც ნარკოტიკი ალბათ ფილმ „დაღიან სახეში“ თუ უნახავს, გუგული მაღრაძის „რეფორმამდე“, თორემ მერე, იმ ერთი მაგიდა „კოკაინის“ ნაცვლად, ყოჩივარდები იქნებოდა დაყრილი.

რა „ნარკოპოლიტიკა“ და რის ნარკოლიბერალიზაცია, ცუდად ხომ არ ხართ! ვის უსმენთ და ვისი გეშინიათ? მოაშორეთ მართლა „ძაღლები“ პოლიციიდან, მკვლელები პარლამენტიდან, ნაძირლები და მოღალატეები იმ „გუნდიდან“, რომლის „ერთიანობაზეც“ ლაპარაკობთ (დავიჯერო, არ იცით, რომ ერთი პატრონის მოღალატე მეორესაც რომ უღალატებს?). ნარკოპოლიტიკა გინდათ„წესიერი“ გახადოთ? — **შეამცირეთ უმუშევრობა**. **უმარტივესია, რომ დასაქმებულ ადამიანთა 99%, რომელიც მთელი დღე შრომობს, წამლის საჩალიჩოდ არ მოიცლის.** მიხედეთ განათლებას. განათლებას არა რაღაც „კრეატიული“ და უაზრო განცხადებების კეთებით, არამედ წესიერი, ნამდვილი პროექტებით.

უმკაცრესად მიხედეთ იმ ე.წ. „სააფთიაქო ნარკომანიას“, რომელიც „ზადნით“ ატარებს უამრავ ადამიანს...

* * *

რაც შეეხება კანონს:

„უწინარეს ყოვლისა, სანამ ნარკოპოლიტიკის „ლიბერალიზაციაზე“ ვისაუბრებთ, მისი დებახალიზაციაა საჭირო!“, — ამის შესახებ ანალიტიკოსი დავით ზარდიაშვილი სოციალური ქსელის პირად გვერდზე წერს.

დებახალიზაცია — კანონის წინაშე თანასწორობას ნიშნავს. თუ სხვას უსჯიან, ბახალასაც მიესჯება და პირიქით, თუ ბახალას არ მიესჯება, მაშინ არც არავის არ უნდა მიესაჯოს.

ლიბერალიზაციაზე და დეკრიმინალიზაციაზე კი დებახალიზაციის შემდეგ შეიძლება საუბარი. ასეა ეს.“

სრულად ვეთანხმები ბატონ დავითს.

როდესაც ადამიანი რაიმე დანაშაულს სჩადის, უნდა იცოდეს და გაცნობიერებული ჰქონდეს, რომ ქმედება, რომელსაც სჩადის და თავისი ახლობლების შეფასებით, რაც არ უნდა უწყინარი იყოს, მოუწევს პასუხისგება კანონის წინაშე (არა აქვს მნიშვნელობა სისხლის სამართლის თუ მორალური).

ერთი მეგობარი მყავდა, კანონიერი ქურდი (უფალმა გაანათლოს მისი სული), ხანდახან ამბობდა: ჩემი საქმე მეიპარე-გეიპარეა. თუ დამიჭირეს, ეს ჩემი პრობლემა და იმათი საქმეაო (იმედი მაქვს „მენტალიტეტს“ დ.ა.შ. რაღაცებს არ დამაბრალებენ).

რა თქმა უნდა, პოლიციაში ბევრი რამ არ არის რიგზე, ბევრჯერ დამიწერია, რომ რეფორმა მხოლოდ ფორმის, ავტომობილებისა და კომპიუტერების შეცვლა არ არის, მაგრამ რეფორმა არც ის არის, რომ ვიღაც ტელევიზორში მსახიობი ან პროდიუსერი ჩანდა, ამიტომ დიდი რაოდენობის ნარკოტიკის გამო, პასუხისმგებლობის გარეშე დარჩეს.

ეს მენტალური პრობლემაა. ცხადია, რომ ერთი ადამიანის ციხეში ჩასმა, თან ისეთის, რომელიც რეალურად არაფრის გამკეთებელი არ არის და ვიღაცების გავლენის ქვეშ იმყოფება (ვერავინ დამაჯერებს, რომ „ბახალა“ ესკობარია. მას, სავარაუდოდ, ვიღაც იყენებდა მისი ცნობადობის გამო. გაიხსენეთ მისი სიტყვები — მაშინვე მივხვდი, რომ გავიწირე!!!).

არ შეიძლება სასამართლოს ფანჯრების ჩალეწვა (ვინმემ მათი სახლის ფანჯრებს ქვა რომ ესროლოს, და იმათ იმისი დაჭერა მოახერხონ, რას უზამენ? ადმინისტრაციულად დააჯარიმებენ, თუ სულ ცოტა თავყბას დაამტვრევენ?).

არ შეიძლება, ბევრი რამე არ შეიძლება! იმ „წყეული“ კომუნისტების დროს იყო კანონი, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო ძონეებიდან თუნდაც ერთი კაპიკის მოპარვა 10-ჯერ უფრო მკაცრად ისჯებოდა, ვიდრე ვინმე „ბარიგისთვის“ მილიონის მოპარვა.

არ შეიძლება სახელმწიფოს წინააღმდეგ წასვლა, რადგანაც სახელმწიფო მარტოოდენ პარლამენტი ან მთავრობა კი არ არის, სახელმწიფო ეს მე, შენ, თქვენ, ჩვენი მშობლები და შვილები ვართ!

საქართველოს წინააღმდეგ წასვლას კი არავის არ ვურჩევ!

გია გაბრიჭიძე

ასე ამბობდა ალბერტ აინშტაინი



რუსული ტექსტი ქართულად გადმოაქცია გურამ გოგიაშვილმა

სოციალური სამართლიანობის მიმართ მგზნებარე გულისყური და სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობა ყოველთვის ეწინააღმდეგებოდნენ ადამიანებთან და სხვა ადამიანთა კოლექტივებთან დაახლოებაზე ჩემს წინასწარ შექმნილ ცუდ აზრს. მე მუდამ ცალ უღელში თავგაყოფილი ცხენი ვიყავი, ამიტომაც სრულად ვერ ვადგებოდი ჩემს ქვეყანას, მეგობართა წრეს, ნათესაობასა და ოჯახს. უნდა ითქვას, რომ ეს კავშირები მარტოობისკენ მეწეოდნენ და ამ სწრაფვამ წლებთან ერთად გამიჩინა თავის დაღწევისა და საკუთარ თავში ჩაკეტვის მისწრაფება.

* * *

უცილობელ იდეალებს, გზას რომ მინათებდნენ და მანიჭებდნენ გაბედულებასა და ვაჟკაცობას, სიკეთედ, სილამაზედ და ჭეშმარიტებად წარმოვიდგენ.

* * *

ენა თუ სიტყვები, დაწერილი თუ ზეპირად წარმოთქმული, არავითარ როლს არ თამაშობენ ჩემი საკუთარი აზროვნების მექანიზმში. ფიზიკური რაობანი, აზროვნების ელემენტებს რომ წარმოადგენენ, მხოლოდ ნიშნები და მეტ-ნაკლებად ნათელი იერსახეებია, რომელთა აღდგენა-განახლება დამოუკიდებლადაც შეუძლიათ და ერთმანეთში კომბინირებითაც.

* * *

მე არცრას ვასწავლი ჩემს მოსწავლეებს, მე მხოლოდ პირობებს ვუქმნი, რომ თავადვე ისწავლონ.

* * *

საიდუმლო არ არის, რომ დღეს ფარდობითობის თეორია აკმაყოფილებს მკითხველთა დიდი წრის ამა თუ იმ გემოვნებას, ამიტომ გერმანიაში გერმანელ მეცნიერად მომიხსენიებენ, ინგლისისთვის კი ისევ შვეიცარიელი ებრაელი ვარ. იმ შემთხვევაში, თუ ჩემი სახელის გატეხა მოინდომეს, მაშინ დახასიათებები ადგილებს შეიცვლიან: გერმანიისთვის შვეიცარიელი ებრაელი გავხდები, ინგლისისთვის კი – გერმანელი მეცნიერი.

* * *

მადლობა ღმერთს, სანამ ცოცხალი ვარ, არცვის არ შეუძლია ჩემი ტყავის გაყიდვა და ამით სარგებლის ნახვა.

* * *

ხომ არ გეჩვენებათ, რომ მთელი ჩემი ცხოვრების შრომას მშვიდი კმაყოფილებით ვუცქერი? სინამდვილეში ეს ყველაფერი სხვაგვარად გამოიყურება. არ არსებობს არც ერთი ცნება, რომლის სიმტკიცეშიც ბოლომდე დარწმუნებული ვიქნებოდი. უნდა ვაღიარო, რომ ისიც არა მჯერა, სწორ გზას ვადგავარ თუ არა.

* * *

სანამ დავისჯებოდი ავტორიტეტების მიმართ ჩემი სიძულვილის გამო, ბედმა თავად მაქცია ავტორიტეტად.

ადრე იმის გაფიქრებაც არ შემეძლო, რომ ჩემს ნებისმიერ შენიშვნას აიტაცებდნენ და უკვდავჰყოფდნენ. ეს თუ მეცოდინებოდა, შევეცდებოდი, რაც შიძლება ღრმად მივმალულიყავი ჩემს ბაკანში.

* * *

მე თავნება ვიყავი, თუმცა არაფრით გამოვირჩეოდი სხვა ახალგაზრდებისგან. როგორც თვითნასწავლმა, ზოგი რამ ცოდნა ნამდვილად დავაგროვე. ბევრად უფრო ღრმა ცოდნის წყურვილით, მაგრამ შეთვისების არასაკმარისი უნარით, თანაც ცუდი მეხსიერებით შევუდექი ჩემთვის არცთუ იოლ სწავლის საქმეს. საკუთარ ძალებში აშკარად დაურწმუნებელი მივდიოდი მისაღებ გამოცდებზე.

* * *

ყველაზე მომაბეზრებელი ებრაელთა სიყვარული იყო, რაც ჩემს თავზე გამოვცადე.

* * *

...მიუხედავად იმისა, რომ მუშაობის ჩვეულებრივი გრაფიკი მაქვს, ჩემთვის აუცილებელია დრო ზღვის სანაპიროზე ხანგრძლივი სეირნობისთვის, რათა შევძლო იმის მოსმენა, თუ რა ხდება ჩემს თავში. თუ საქმე არ გამომდის, მაშინ შუადღისას ვწვები და ჭერსა ვსწავლობ, რათა მივაყურადო და გავარჩიო, თუ რა ხდება ჩემს წარმოსახვაში. ამას იმიტომ კი არ ვშვრები, დამინახეთ, რა ჭკვიანი ვარ-მეთქი, არამედ იმიტომ, რომ ყოველ საკითხს აუცილებლად წინდახედულად უნდა მივუდგეთ, რაც ჩვეულებად მექცა.

* * *

მე გავუძელი ორ ომს, ორ ცოლს და ჰიტლერს.

* * *

მე მწამს ღმერთი, რომელიც დედამიწის ზურგზე არსებულ ყოველივე სულდგმულთან კანონზომიერ ჰარმონიაში ცხადდება და არა უფალი, რომელიც კონკრეტული ადამიანების ბედ-იღბლითა და საქციელით არის დაკავებული.

* * *

მე ვერ ვირწმუნებ იმ ღმერთს, როგორც ვინმე არსებას, ცალკეულ ადამიანთა საქციელზე რომ ახდენს ზეგავლენას, ანდა თავისივე შექმნილთ რომ განიკითხავს. არა, არ შემიძლია იმისი რწმენა, თუმცაღა უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე მეცნიერების მექანიკური მიზეზობრიობა გარკვეულწილად დიდ ეჭვს იწვევს.

ჩემი რწმენა კი უშუალოდ თაყვანისცემაა სულისადმი, რომელი სულიც ბევრად გვჭარბობს და გვიაშკარავებს იმ მცირე რასმე, რის შეცნობასაც ვახერხებთ ჩვენი შეზღუდული მოკვდავი გონებით. ნურც იმას ვიგულმავიწყებთ, რომ მორალი მნიშვნელოვანი რამ არის, ოღონდ, სულაც არა ღმერთისთვის, უწინარესად ჩვენთვის.

* * *

მე მეტისმეტად გადარეული ვარ იმისთვის, რათა გენიოსი არ ვიყო.

* * *

უკეთუ ფარდობითობა აღიარეს, გერმანელები გერმანელს დამიძახებენ, შვედები – შვეციის მცხოვრებს, ხოლო ფრანგები – დიდ მეცნიერად მომიხსენიებენ.

* * *

დარწმუნებული ვარ, ომის საბაბით ჩადენილი მკვლელობაც ჩვეულებრივი მკვლელობაა.

* * *

საწინააღმდეგო ნამდვილად არცრა მექნებოდა, საზოგადოებისთვის არაფრის მაქნის და საშიშ ინდივიდუუმთ თუ მოაკვდინებდნენ, მაგრამ მაინც წინააღმდეგი ვარ, რადგან არ ვენდობი მართლმსაჯულების აღმსრულებელთ.

ცხოვრებაში მე უმეტესად ხარისხს ვაფასებ, ვიდრე რაოდენობას, იმისდა მსგავსად, როგორც ბუნებაში სინამდვილე უფრო სრულად აისახება საერთო პრინციპებში, ვიდრე რომელიმე კონკრეტულ ობიექტში.

* * *

მე არცროდის არ ვესწრაფოდი ბედსვიანობას და არც ოდესმე მეტი ფუფუნება მნდომებია. ის კი არა, გარკვეულწილად ზიზღსაც განვიცდი ყოველივე ამის მიმართ. სოციალური სამართლიანობისათვის ჩემი გამუდმებული თავგამოდება, როგორც ჩემი ნეგატიური დამოკიდებულება ყოველგვარი კავშირებისა და სხვათა შემყურეობისადმი, რაც აუცილებლად არ მიმაჩნია, ხანდისხან მაიძულებდნენ სოციუმთან კონფლიქტში ჩაბმას.

* * *

რად მინდა რისამე დამახსოვრება, როცა სულ ადვილად შემიძლია წიგნის გადაშლა და იქ იმის ნახვა?

* * *

თუ რამ ჩემს რელიგიურ მრწამსზე წამიკითხავთ, რასაკვირველია, ყველაფერი სიცრუეა, რაც გულისგამაწვრილებლად დღენიადაგ მეორდება. მე არცროდის არა მწამდა პერსონიფიცირებული ღვთაება და არც უარმიყვია, პირიქით, მუდამ გამოკვეთილად ვლაპარაკობდი ამაზე. უკეთუ ჩემში მართლაც არსებობს რაღაც, რასაც რელიგიური შეიძლება რომ ვუწოდოთ, ეს ქვეყნიერების სტრუქტურით აღტაცებაა. ვნახოთ, რამდენად შეუძლია ჩვენს მეცნიერებას ამ სტრუქტურის წვდომა.

* * *

მე მინდა სიკვდილის შემდეგ დამწვან, რათა ადამიანებმა არ იარონ ჩემი ძვლების თაყვნისაცემად.

* * *

როგორც ბევრი სხვა, თქვენც მეკითხებით, რატომ მაინცდამაინც მე შევქმენი ფარდობითობის თეორია? როცა მე თვითონ ჩემს თავს ვეკითხები ამას, მეჩვენება, რომ მიზეზი აი, რა არის: ნორმალური, ზრდასრული ადამიანი საერთოდ არ უფიქრდება სივრცისა და დროის პრობლემას, რადგან თავისი ჭკუით, ის ჯერ კიდევ ღრმა ბავშვობაში უტრიალებდა ამ პრობლემას. მე კი პირიქით, ინტელექტუალურად იმდენად ნელა ვვითარდებოდი, რომ, როცა ზრდასრული გავხდი, სივრცემ და დრომ ჩემი გონება ერთიანად დაიპყრეს. როგორც ჩანს, მე უფრო ღრმად შემეძლო პრობლემაში შეღწევა, ვიდრე ნორმალური მიდრეკილებების ბავშვს.

* * *

სიკვდილს ახლა ისე ვუცქერი, როგორც ძველ ვალს, რასაც ბოლოს და ბოლოს გადახდა უნდა (1955 წლის 5 თებერვალი).

* * *

ერთადერთი რამ, რაშიც დავრწმუნდი ჩემი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე, ის არის, რომ მეცნიერება რეალობის პირისპირ გამოიყურება ძალიან პრიმიტიულად და ბავშვივით მიამიტურად, მაგრამ ეს მაინც ყველა იმაზე უფრო ფასეულია, რაც კი რამ გვაქვს.

* * *

ჩემს წარმოსახვაში ხატვის ნიჭი მაქვს, თითქოს მხატვარი ვარ. წარმოსახვა ცოდნაზე ბევრად მნიშვნელოვანია, ვინაიდან ცოდნა შეზღუდულია, წარმოსახვა კი მთელ სამყაროს ერთიანად მოიცავს.

* * *

ერთადერთი რამ, რაც ხელს მიშლის სწავლაში, ჩემ მიერ მიღებული განათლებაა.

* * *

თანამედროვე მუსიკასთან ჩემი არაღრმა ნაცნობობა უკიდურესად შეზღუდულია, მაგრამ ერთ რამეში ზუსტად ვარ დარწმუნებული: ჭეშმარიტი ხელოვნება წარმოიშობა მხატვარ-შემოქმედის ძნელად დასაძლევი სწრაფვით.

* * *

საკითხი, რომელიც ჩიხში მამწყვდევს: მე ვარ შეშლილი თუ ჩემ გარშემო მყოფნი ერთიანად?

* * *

მთლად მეცნიერებას კი შევწირე თავი, მაგრამ ერთი კითხვა არა და არ მასვენებს: რა მიზანი აქვს იმ მეცნიერებას, რომელსაც თავი შევწირე? რამდენად ჭეშმარიტია ამ მეცნიერების მნიშვნელოვანი შედეგები? რა არის მასში არსებითი და რა არის იმის შემთხვევით განვითარებაზე დამოკიდებული?

* * *

როცა ჩემს თავს და ფიქრის ჩემეულ წესსა და რიგს ვსწავლობ, უცილობლად იმ დასკვნამდე მივდივარ, რომ წარმოსახვისა და ფანტაზიის ნიჭი ჩემთვის ყოველთვის ბევრად უფრო მეტს ნიშნავდა, ვიდრე აბსტრაქტული აზრონების ნებისმიერი სხვა უნარი.

* * *

როს რომელსამე თეორიაზე ვმსჯელობ, მუდმივად ვეკითხები ჩემს თავს: ღმერთი რომ ვყოფილიყავი, ნუთუ ისეთივე სამყაროს შევქმნიდი, როგორიც ახლაა?

ჯერ სულ პატარა ბიჭი ვიყავი, როცა აღმოვაჩინე, რომ ფეხის ცერა თითი ადრე თუ გვიან წინდაზე ნახვრეტს აჩენს, მას მერე წინდებს აღარ ვიცვამ.

* * *

რაც უფრო მატულობს ჩემი ქება-დიდება, მით მეტად ვტუტუცდები. სამწუხაროდ, ეს უცილობლად საერთო წესია.

* * *

ბოლოს და ბოლოს დავრწმუნდი, რომ სიკვდილით დასჯის შეცვლა სასარგებლო იქნება ორი მიზეზისა გამო: პირველი – სასამართლო შეცდომის შემთხვევაში უკვე შეუძლებელი იქნება რისამე გამოსწორება: და მეორე – ცხადი გახდება მავნე ზნეობრივი ზეგავლენა იმათზე, ვინც უშუალოდ ან ირიბად ასრულებს სიკვდილით დასჯას.

(გაგრძელება მორიგ ნომერში)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №14-16

ტრამპმა მიულერის დათხოვნის ბრძანება ივნისში გასცა

დონალდ ტრამპმა გასული წლის ივნისში სპეცპროკურორის რობერტ მიულერის დათხოვნის ბრძანება გასცა. ამის შესახებ გამოცემა „ნიუიორკ ტაიმსი“ წერს. ამავე ინფორმაციით, მიულერის გადაყენება ტრამპმა მხოლოდ მას შემდეგ გადაიფიქრა, რაც თეთრი სახლის ადვოკატმა იუსტიციის დეპარტამენტისთვის შესაბამისი მითხოვნის გადაცემაზე უარი თქვა და განაცხადა, რომ მსგავს შემთხვევაში თავად დატოვებს სამსახურს. თეთრ სახლში პუბლიკაციასთან დაკავშირებით კომენტარი ამ დრომდე არ გაუკეთებიათ. რობერტ მიულერი ამჟამად შეერთებული შტატების მოქმედი პრეზიდენტის გარემოცვის რუსეთთან კავშირებს იძიებს.

წყალდიდობა პარიზში

პარიზში წყალდიდობამ ტურისტების გეგმები შეცვალა. ქალაქში დაკეტილია რამდენიმე სარკინიგზო სადგური, არ ხორციელდება კრუიზები სენაზე, შეჩერებულია დიდი მუზეუმების, მათ შორის, ლუვრის მუშაობაც.

გავრცელებული ცნობით, მდინარე სენამ ხუთი მეტრით აიწია და მისი სიმაღლე საათში 1-2 სმ-ით იზრდება. დაიტბორა სანაპიროს მიმდებარე ქუჩები.

ლუვრში მიღებულია საგანგებო ზომები, რათა ექსპონატები წყალმა არ დააზიანოს.

მსგავსი სიტუაცია პარიზში 2016 წელსაც იყო, როდესაც გადაუღებელი წვიმების შედეგად მდინარე სენას დონე მნიშვნელოვნად გაიზარდა.

უკრაინაში ვერტმფრენი ჩამოვარდა

ავიაკატასტროფა უკრაინაში მსხვერპლით დასრულდა. მი-8 ტიპის ვერტმფრენი ქალაქ კრემენჩუგში ჩამოვარდა, რის შედეგადაც ბორტზე მყოფი 4 ადამიანი დაიღუპა.

საგანგებო სიტუაციების სამსახურის ცნობით, ვერტმფრენი კერძო ავიაკომპანიას ეკუთვნოდა და სასწავლო ფრენას ასრულებდა. რა გახდა კატასტროფის მიზეზი, ამ დრომდე უცნობია.

სამხრეთ კორეაში ხანძარს 40-მდე ადამიანი ემსხვერპლა

40-მდე ადამიანი დაიღუპა, 80-მდე კი დაშავდა სამხრეთ კორეაში ხანძრის შედეგად. ცეცხლი საავადმყოფოს შენობას გაუჩნდა. ინციდენტისას შენობაში 200-მდე პაციენტი იმყოფებოდა. ხანძრის გამომწვევი მიზეზი ამ დროისთვის უცნობია.

ბრაზილიის ექსპრეზიდენტს პასპორტს ჩამოართმევენ

ბრაზილიის ექსპრეზიდენტს ქვეყნის ტერიტორიის დატოვება აუკრძალეს. სასამართლოს გადაწყვეტილებით, ინასიუ ლულა და სილვას პასპორტს ჩამოართმევენ. ყოფილ პრეზიდენტს, რომელსაც ბრალი კორუფციულ გარიგებებში ედება, პორტუალეგრის სასამართლო 12-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა. სასამართლოს გადაწყვეტილების გამო ის მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებს.

სარკინიგზო კატასტროფა იტალიაში

იტალიის ჩრდილოეთში ქალაქ პიოლტელოს მახლობად მატარებელი ლიანდაგებიდან გადავიდა. სარკინიგზო კატასტროფის შედეგად 2 ადამიანი დაიღუპა, 10 კი მძიმედ დაშავდა. მსუბუქი დაზიანებები 100-მდე ადამიანმა მიიღო. მატარებელი კრემონა-მილანის რეისს ასრულებდა. რა გახდა კატასტროფის მიზეზი, ამ დრომდე უცნობია.

ბერლინის კედლის ფრაგმენტი ტყეში იპოვეს

37 წლის ისტორიკოსმა კრისტიან ბორმანმა ბერლინის კედლის ფრაგმენტი ტყეში აღმოაჩინა. კედლის 80-მეტრიანი მონაკვეთი მან ბერლინის ტყეში ბერლინ-შენხოლცის სარკინიგზო სადგურის მახლობლად იპოვა. კედელზე მავთულხლართები, სასიგნალო და ელექტროსადენებია შერჩენილი. ისტორიკოსი აცხადებს, რომ აღმოჩენას ისტორიული ღირებულება აქვს და ხელისუფლებას მისი დაცვისკენ მოუწოდებს.

◎ პატივგება

თბილისი ნოდარ ახალკაცის ქუჩამ დაამშვენა!



უკვე გაუწყეთ, რომ 2 იანვარს ნოდარ ახალკაცს 80 წელი შეუსრულდებოდა, საიუბილეო თარიღი კი დიდი მაესტროს მშობლიური „ნახალოვკის“ მე-9 საჯარო სკოლისთვის მისი სახელის მინიჭებამ დაამშვენა.

და აი, საამაყო მამულიშვილის კიდევ ერთი პატივგება – დედაქალაქში, დიღმის საწვრთნელი ბაზის მიმდებარე ტერიტორიაზე უკვე ქართული ფეხბურთის დიდი რეფორმატორის ქუჩა გვაქვს!

საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ ამ იდეის ინიციატორი ჩვენი ლეგენდარული კომენტატორი ჯამლეტ ხუხაშვილი გახლავთ, რომელიც ჩვეული შემართებით თამადობდა ჩვენი უკვდავი მეგობრის საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილ სუფრას.

დიახ, სწორედ მან დაურეკა თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს, ბატონ გიორგი ტყემალაძეს და აღნიშნული წინადადება გააცნო, ამ უწესიერესი, ზრდილობით სავსე ახალგაზრდა კაცის პასუხმა კი ყველანი დაგვამშვიდა: ჩათვალეთ, რომ ეს საკითხი გადაწყვეტილიაო.

მართლაც, მალევე სიტყვას საქმე მოჰყვა. მეტიც, იგი პირადად მობრძანდა დიღომში, სადაც გავიცანით კიდევ ამ სტრიქონების ავტორებმა და ოთარ რუხაძემ. ბუნებრივია, საშა ჩივაძემ, ვოვა გუცაევმა, თენგიზ სულაქველიძემ და ოთარ გაბელიამ საყვარელ აღმზრდელთან ერთად სევდიანად გაიხსენეს ვიტალი დარასელიაც, ხოლო ღონისძიების დასასრულ შეკრებილთ მე-9 საჯარო სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა მარინა გიგაურმა მიმართა, რომელმაც ბრძანა: „ბედნიერი ვარ, რომ ნოდარ ახალკაცის სახელობის საჯარო სკოლას ვხელმძღვანელობ. მთელი ჩვენი კოლექტივი გახარებულია, რაც სასწავლო პროცესსაც დაეტყო. დიახ, მოსწავლეებში ძალიან დიდი მუხტი წამოვიდა და ბავშვები გახარებული არიან“.

ვფიქრობთ, კარგი იქნება, თუ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ახალდანიშნული მინისტრი, ბატონი მიხეილ ჩხენკელი გამოძებნის რაიმე ფორმას და სტიმულირების მიზნით წაახალისებს ქალბატონ მარინასა და პედაგოგიური კოლექტივის წევრებს.

აქვე გავიხსენებ იმ დღეს, როცა სულმნათ სერგო კუტივაძესთან ერთად მე-9 საჯარო სკოლის აღსაზრდელთაგან ასეთი სიტყვები მოვისმინეთ: „მარინა გიგაური ჩვენი დირექტორი კი არა, მშობელია, ისე გვექცევა, ჩვენ კი ისე ვექცევით, როგორც მშობელს“. დაგვეთანხმებით, კომენტარი ზედმეტია.

ნიკო ცაგარეიშვილი,
ირაკლი (იბო) დოლიძე

◎ სუმო

ტრიუმფის ზღურბლთან

ტოჩინოშინს, იგივე ლევან გორგაძეს, სამამულო სუმოს ისტორიის დაწერა შეუძლია. ქართველი სუმოისტი დღეს უკვე იმპერატორის თასის რეიტინგში მარტო იკავებს ლიდერის პოზიციას და წინ 3 მნიშვნელოვანი შეხვედრა ელის. 11 გამარჯვებით და 1 მარცხით ტოჩინოშინი სხვებზე ახლოს არის ყველაზე პრესტიჟულ ტიტულთან. მის მდევარ კაკარიუს ერთი გამარჯვებით ნაკლები აქვს და მე-3 პოზიციაზე მყოფი ტაკაიასუ 2 გამარჯვებით ჩამორჩება.

„ჰაცუ ბაშო“ ყოველწლიური ტურნირია და სუმოს სამყაროში რანგით პირველია. ის ტოკიოში რიოგოკუ კოკუგიკანის დარბაზში იმართება, რომელიც 11 098 მაყურებელს იტევს. „ჰაცუ ბაშოზე“ დასწრება ძალიან ბევრ გულშემატკივარს სურს. შესაბამისად, შესასვლელში და სალაროებთან ყოველწლიურად დიდი რიგები დგას.

ტოჩინოშინის ამ ტურნირში გამარჯვება სუმოს სამყაროში წლის სენსაცია იქნება. ქართველმა იაპონელი გულშემატკივარი უკვე გააკვირვა და მისი ქომაგების რაოდენობა ერთიორად გაიზარდა. თუ ლევანი ამ ტურნირს მოიგებს, მისი იერარქიაც მნიშვნელოვნად შეიცვლება: მე-3 მაეგაშირობიდან დაწინაურდება და თუ ყველაფერი მის სასარგებლოდ წავიდა, შეიძლება სეკივაკეს ტიტულსაც გამოჰკრას ხელი.

დღეს ტოჩინოშინი პირველ მაეგაშირას, მონღოლ იჩინოჯის გაეჯიბრება, რომელთანაც 10:5 აქვს ბალანსი. წონათა ბალანსი 177-215-ია მონღოლის სასარგებლოდ. აღსანიშნავია რომ მონღოლი ამ ბაშოზე ყველაზე მძიმეა.ხოლო იჩინოჯი ამ ტურნირზე 8 მოგებითა და 4 წაგებით მე-4 პოზიციას ინაწილებს 5 სუმოისტთან ერთად.

გიორგი ფოთაძე

◎ ჩოგბურთი

ფედერერი მე-20 სლემს შეუტევს

ავსტრალიის ღია პირველობის ნახევარფინალში როჯერ ფედერერი ჰაინ ჩონს დაუპირისპირდა და სამხრეთკორეელმა მეორე სეტში, როცა ანგარიში 6:1, 5:2 იყო შვეიცარიულის სასარგებლოდ, თამაში შეწყვიტა. მეორე პარტიაში ჩონმა სამედიცინო შესვენება აიღო, რადგან აზიელს ფეხზე მცირე ტრავმა ჰქონდა. მიუხედავად ექიმების დახმარებისა, ჰაინმა მაინც გადაწყვიტა დანებებოდა.

ფედერერი დიდი სლემის 30-ე ფინალში გავიდა, ავსტრალიის ღია პირველობის გადამწყვეტ მატჩში კი მეშვიდედ ითამაშებს და მეექვსედ შეეცდება გამარჯვებას. ასევე, შვეიცარიელი მე-20 სლემის მოგების მოლოდინშია და ამის გაკეთებას ხვალ მარინ ჩილიჩის წინააღმდეგ გასამართ შეხვედრაში შეეცდება.

მატჩის შემდეგ ფედერერმა განაცხადა, რომ პირველ პარტიაში თამაში ნორმალურად წარიმართა, თუმცა, მეორე სეტში მეტოქეს შეატყო, რომ ფეხი ტკიოდა. შვეიცარიელი მიჩნევს, რომ კორეელი მზადაა გამოწვევები მიიღოს და ათეულში დამკვიდრდეს.

„მე შევძელი და დავინახე, თუ რატომ დაამარცხა მან ნოვაკ ჯოკოვიჩი და ალექსანდრ ზვერევი. ჩონი აპირებს დიდებული მოთამაშე გახდეს“, – აღნიშნა ფედერერმა შეხვედრის შემდეგ.

2018 წლის ავსტრალიის ღია პირველობის ფინალი ფედერერსა და ჩილიჩს შორის კვირას თბილისის დროით 12:30 საათზე დაიწყება. ხორვატი შეეცდება წინა წელს უიმბლდონის გადამწყვეტ მატჩში განცდილი მარცხის გამო როჯერს რევანში აუღოს, თავის მხრივ კი 36 წლის შვეიცარიელს უფრო დიდი სტიმული აქვს, რადგან მე-20 დიდი სლემის მოგების შანსი აქვს. ურთიერთშეხვედრებში ფედერერი მარინს 8:1 ამარცხებს. ხორვატმა მეტოქე მხოლოდ 2014 წელს ამერიკის ღია პირველობის ნახევარფინალურ სტადიაზე დაამარცხა, სადაც საბოლოოდ გაიმარჯვა კიდეც. ფედერერმა ავსტრალიაში რომც იმარჯვოს, რეიტინგში პირველადგილოსან რაფაელ ნადალს ვერ გაუსწრებს, თუმცა, ჩამორჩენას 155 ქულამდე შეამცირებს და 9605 ქულა ექნება. ჩილიჩმა კი უკვე კარიერის საუკეთესო შედეგი დააფიქსირა, უკან ჩამოიტოვა მესამეადგილოსანი გრიგორ დიმიტროვი და განახლებულ რეიტინგს ან 4960 ქულით შეხვდება, ან 5760 ქულით.

ქალთა ტურნირის ფინალში დღეს სიმონა ჰალეპი და კაროლინ ვოზნიაცკი იბრძოლებენ.

კობა კობახიძე

◎ ოლიმპიზმი

თომას ბახი:

„პიონჩანგში მხოლოდ „სუფთა“ სპორტსმენები გამოვლენ“

„საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ დეკემბერში მიღებული გადაწყვეტილება პიონჩანგის თამაშებში მხოლოდ „სუფთა“ სპორტსმენების მიწვევის თაობაზე არ ამცირებს რუსეთს და რუს სპორტსმენებს. უფრო მეტიც – რუსეთმა უნდა დააფასოს, რომ მიეცა შესაძლებლობა განიცადოს კათარზისი. კორეაში მხოლოდ ახალი თაობის „სუფთა“ სპორტსმენები გამოვლენ და ეს გადაწყვეტილება რუსული სპორტის გაჯანსაღებას ემსახურება“. ასე გამოეხმაურა სოკ-ის პრეზიდენტი თომას ბახი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მისამართით გამოთქმულ კრიტიკულ შენიშვნებს.

სოკ-ის მიმართ აგრესია მას შემდეგ გაიზარდა, რაც ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის უფლება ჩამოართვეს ათეულობით გამოცდილ რუს სპორტსმენს, რომლებიც არ ფიგურირებენ დოპინგ-საქმეებში. მათ შორის არიან ოლიმპიური ჩემპიონი ბიატლონში ანტონ შიპულინი, მოთხილამურე სერგეი უსტიუგოვი და ექვსგზის ოლიმპიური ჩემპიონ შორტ-ტრეკში ვიქტორ ანი. მართალია, რუსეთის ოლიმპიური დელეგაციის საბოლოო შემადგენლობა ცნობილი ხვალ გახდება, მაგრამ მასში დიდ ცვლილებებს არ უნდა ველოდოთ.

ოლიმპიადაზე დასაშვებ რუს სპორტსმენთა შესარჩევად მუშაობდა დამოუკიდებელი კომისია ვალერი ფურნეირონის ხელმძღვანელობით, რომელმაც ყველა რუსი სპორტსმენის დოპინგ-ისტორია საფუძვლიანად შეისწავლა.

„კომისიის საქმიანობის შედეგები საიმედოდ უნდა მივიჩნიოთ, მასში ეჭვს ვერ შევიტანთ, – აცხადებს თომას ბახი. **– დამოუკიდებელმა კომისიამ შეადგინა ოლიმპიადაზე მოსაწვევ სპორტსმენთა სია, რომლის შემადგენლობაშიც მხოლოდ „სუფთა“ სპორტსმენები არიან. თუ რომელიმე სპორტსმენი არ არის სიაში, ეს იმას ნიშნავს, რომ კომისიას სერიოზული საფუძველი ჰქონდა ამ გადაწყვეტილების მისაღებად.“**

როგორც ფურნეირონის კომისიაში აცხადებენ, ოლიმპიურ თამაშებზე წამყვან სპორტსმენთა მიწვევაზე უარის თქმის საფუძველი სხვადასხვა წყაროდან მიღებული დამატებითი ინფორმაცია გახდა.

„ჩვენი მიზანია, ოლიმპიურ თამაშებზე მივიწვიოთ „სუფთა“ რუსი სპორტსმენები. თუ სპორტსმენი მიიწვიეს, ნიშნავს იმას, რომ კომისიას არ ჰქონდა მის მიმართ საფუძვლიანი ეჭვი,“ – ამბობს თომას ბახი, რომლის აზრითაც ასეთი მკაცრი შერჩევის პროცედურა პიონჩანგ-2018-ის სპორტული შედეგების ეჭვქვეშ დაყენებას გამორიცხავს. ფურნეირონის კომისიამ თავის თავზე აიღო პასუხისმგებლობა, რომ ოლიმპიადაზე „ჭუჭყიანი“ სპორტსმენი ვერ მოხვდებოდა.

„დარწმუნებულები იყავით, რომ კომისიას არ უტვირთია არც მოსამართლისა და არც არბიტრის როლი. მან დეტალურად შეისწავლა თითოეული სპორტსმენის საქმე. შედეგად, რუსეთი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ოლიმპიურ თამაშებზე მხოლოდ „სუფთა“ სპორტსმენები მოხვდებიან და შეჯიბრებების შემდეგ სიურპრიზებს არ უნდა ველოდოთ. რუსეთმა უნდა დააფასოს ეს შესაძლებლობა,“ – ამბობს სოკ-ის პრეზიდენტი.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ინტერნეტიდან

საცვლებს იცვლის დილიდან...

რუმინეთის საფეხბურთო ნაკრებს ისეთი სილამაზის თილისმა ჰყავს, მის სანახავად მართლაც ღირს ირაკლი ჩარკვიანის შემდეგ შავი ზღვის კიდევ ერთხელ გადაცურვა. მით უმეტეს, რომ, როგორც იქნა, საქართველოს ევროპასთან უვიზო მიმოსვლის რეჟიმი ეღირსა.

კარპატელი მოდელი და ვლახეთის საფეხბურთი ნაკრების ავგაროზი ალინა ვასრიუ ის ქალია, რომელიც აზღუდსა და საწმერთულს დღეში ლამის ასჯერ იცვლის, რადგან სადაც კი ნიფხვის მწარმოებელი ფირმაა, ყველას ნაწარმს სწორედ ეს ასული არეკლამებს და საცვლების მუდმივი ცვლა მისი რუტინული ხელობის ნაწილია.

სარეკლამო ბიზნესში მშვენიერი ალინა იმდენად თავითაა გადაშვებული, რომ ხშირად პოდიუმზე ნარნარად გავლა-გამოვლისთვის დროც კი აღარ რჩება, რის გამოც პროფესიონალიზმსა და საქმისადი ერთგულებას უწუნებენ, მაგრამ ალინას არაფერში ეტყობა, ეს ამბავი რომ დიდად ანაღვლებდეს...

სანთელი

„სხვა ხალხის ისმის აქ ჭრიამული“...



უცნაურია, ჩემი თაობის თბილისზე მეტად, მამაჩემის თაობის თბილისი უფრო მიყვარს. ანუ, 50-60-იანი წლების თბილისი, როდესაც პატარა ბავშვი ვიყავი და ამიტომ „იმ“ დედაქალაქის ავ-კარგის შესახებ მხოლოდ უფროსთა მონათხრობიდან თუ ვიცი რამე...

თუმცა ალბათ აქ უფრო უპრიანია, „მიყვარდა“ მეთქვა, რადგანაც თბილისი მხოლოდ მისი უბნები და ქუჩაბანდები კი არა, პირველ რიგში, მასში მცხოვრები ადამიანები არიან და აქედან იმ თბილისის მოქალაქეთაგან, რომელთაც აგრე მივტირი, სამწუხაროდ, ცოტანიღა თუ არიან დღეს ცოცხალნი.

თბილისს, ვერისუბანს გამოაკლდა კიდევ ერთი ნაღდი ქალაქელი, უზადო იუმორის კოლორიტული პიროვნება, ჟურნალისტი, ნიჭიერი პუბლიცისტი, პოეტი გურამ (კოია) გომართელი.

ხანდაზმულ ასაკში ტრავმა მიიღო. ამიტომ არაერთხელ მიმიკითხავს მისთვის ნუცუბიძეზე მანქანით და აბა, თბილისში დუქნებს ვინ მოსთვლის, მაგრამ ყავარჯნით მაინცდამაინც ვერაზე წამაყვანინებდა ხოლმე თავს, სადაც რომელიმე კაფეს ვიტრინიდან გაჰყურებდა საყვარელ უბანს და თითო ჭიქა ღვინის თანხლებით საინტერესო ამბებს მიყვებოდა მისი თაობის თბილისელებზე თუ, ზოგადად, მის სამეგობროზე.

ალბათ ამისთანა სიყვარულსა და ერთგულებას თუ გულისხმობდა ცხონებული გია ფერაძე, როცა თქვა — „ამ ზღაპრულ უბანს ვერელი კაცი, სხვაზე ვერ გასცვლის ვერა და ვერა“...

აი, ახლა ხელთ მიპყრია კოიას მიერ გამოცემული პატარა ბუკლეტი „ვიყოთ ერთად“, რომელშიც წარმოდგენილია ფართო საზოგადოებისთვის ცნობილ პიროვნებათა კარიკატურები ბატონი გურამის მახვილგონივრული, იუმორისტული კუპლეტების თანხლებით:

მოხსენებულია სამეგობრო, რომლის შეკრების უცვლელი ადგილი რიყეზე არსებული ოთარ აბდუშელიშვილის რესტორანი-კლუბი „გურჯაანი“ გახლდათ:

ოთარ (სტარიკა) ლითანიშვილი, ვანო (უკლიჩკო) ჯამასპიშვილი, ნოდარ (არწივა) ადამაშვილი, თამაზ (რიჟა) ცინცაძე, ანზორ (ბერია) გვიმრაძე, ჯემალ (კიჭა) კბილაშვილი, სიმონ (ლიმნიკა) მირზოიანი, ომგერ (ფართე) მაცაბერიძე, ლერი (ბარდღუ) კირვალიძე, მურთაზ (ძროხა) დაუშვილი, იური (სკინტლა) კირკიტაძე, ოთარ (წიკე) აბდუშელიშვილი, პოკი (პოღოსა) შანიძე, თენგიზ (მურთხი) მდივანი, გურამ (ბუჭუ) ბერიძე და ა.შ. სხვა მრავალმა მომიტევოს ვინც ვერ ჩამოვთვალე.

სამწუხაროდ, ამ კლუბის წევრთა აბსოლუტური უმრავლესობა ცოცხალი აღარ არის და მათ დღეიდან გურამ (კოია) გომართელიც შეუერთდება.

დათო მხეიძე

◎ დღესასწაული

ნინოობას გილოცავთ!

27 იანვარს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს ქალწულ ნინოს — ჩვენს წმინდა დედას, მოციქულთა თანასწორსა და ქართველთა განმანათლებელს.

საქართველო ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა. სულიწმინდის მადლის მოფენის შემდეგ მოციქულებმა წილი ჰყარეს, თუ ვის რომელი ქვეყანა უნდა რგებოდა საქადაგებლად, ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს ხვდა იბერია, მაგრამ, როდესაც დედა ღვთისამ დააპირა საქართველოსკენ წამოსვლა, მას ანგელოზი გამოეცხადა და უთხრა: **„ნუ განმეშორები იერუსალიმს. ხვდომილი ქვეყანა შენი განათლების მომავალში, შენი მეუფება განემტკიცების იქ“.**

საგულისხმოა, რომ ის ყოვლაწმინდა ღვთისმშობელმა მარიამმა გამოარჩია კეთილმორწმუნე კაბადოკიელი ასული ნინო, რომელსაც ოცნებად ჰქონდა გადაქცეული იმ ქვეყნის ნახვა, სადაც მაცხოვრის წმინდა კვართი ინახებოდა და ევედრებოდა ღვთისმშობელს, დახმარებოდა ამ წმინდა მიზნის განხორციელებაში.

ცნობილია ისიც, რომ ქალწულ ნინოს კეთილად აუხდა ოცნება — ძილში გამოეცხადა ღვთისმშობელი და უთხრა: **„გაემგზავრე იბერიაში, დაამკვიდრე იქ სახარება და მე ვიქნები შენი შემწე“.** შემდეგ ვაზის ტოტების ჯვარი გადასცა მას და დასძინა: **„ეს იქნება შენი მფარველი გაჭირვებაში, ყოველი ხილული და უხილავი მტრის წინააღმდეგ... ძალითა მისითა დაამყარებ იქ სიტყვას ძისა ჩემისას, უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი“.**

...ქალწულ ნინოს გაეღვიძა. მას სწორედ ის ჯვარი ეპყრა ხელთ, რომელიც ძილში მისცა მას ღვთისმშობელმა. ქართველთა განმანათლებელს სწორედ ამ ჯვარმა უწინამძღვრა!

P. S. სრულიად საქართველოს და წმინდანის მოსახელეთ ვუოცავთ ნინოობას!

გიული ლიპარტია

სულთათანა

საყვარელ სალუქვაძე

ქართველ ხუროთმოძღვართა ამქარი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული არქიტექტორი საყვარელ სალუქვაძე.

საყვარელ სალუქვაძე:

— ოზურგეთის მთავარი არქიტექტორი!

— ოზურგეთს საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე!

— ოზურგეთის გამგებელი!

— გურიის მხარის ურბანიზაციისა და მშენებლობის დეპარტამენტის თავმჯდომარე!

— საკავშირო და საერთაშორისო არქიტექტურული კონკურსების ლაურეატი!

— მრავალი სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორი!

— ღირსების ორდენის კავალერი!

— ღვაწლმოსილი მოქალაქე , მრავალი არქიტექტურული ნაგებობის ავტორი და თავისი მშობლიური მხარის - გურიის უანგარო მოამაგე!

ნათლობით მიღებული სახელის ჭეშმარიტი აღმსრულებელი — ყველასთვის საყვარელი კაცი!

ქვეყანამ და ოჯახმა დაკარგა მზრუნველი, მოჭირნახულე!

ნათელი დაადგეს მის საუკუნო ხსოვნას!

საქართველოს არქიტექტორთა კავშირი

ვალერი ასათიანი, გივი აბდუშელიშვილი, მერაბ ახობაძე, გიზო ბაქანიძე, ჯუმბერ ბერაძე, ჯემალ ბერიძე, თამაზ გაბუნია, ბაკურ გულუა, გურამ გუნავა, ჯემალ გახოკიძე, ბიჭი დადიანი, თემურ თოფურიძე, ალეკო კობაიძე, ჯემალ კუხალაშვილი, ომარ კაჭარავა, ჯემალ კეთილაძე, ზურაბ ლომიძე, დავით სალარიძე, ომარ სიამაშვილი, გრიგოლ შონია, გიორგი ცინცაძე, ვახტანგ ცხადაძე, გივი ჯაფარიძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან უახლოესი მეგობრის გიორგი (გულღია) სალუქვაძის ძვირფასი ძმის, ღირსეული მამულიშვილის

საყვარელ სალუქვაძის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მათ ოჯახს.
გამოსვენება ოზურგეთის ეკლესიიდან, 30 I, 15 სთ.

სპარტაკ, ლაშა ქობულიები გულწრფელად იზიარებენ ბატონ გიორგი სალუქვაძის ოჯახის მწუხარებას

საყვარელ სალუქვაძის

გარდაცვალების გამო.

სანთელი

შალვა, ზვიად, ბიძინა, ლევან, მიშა, მაია, ნატო, მანანა, ეკა, ანანო მგალობლიშვილები, იუზა უგულავა, მიშა ხიდირბეგიშვილი ოჯახებით თანაუგრძნობენ მაია ხორგუანსა და ვანო (ბუთული) მგალობლიშვილს დედისა და სიდედრის, ქალბატონი

ტონიას

გარდაცვალების გამო.

ჩაბუქი ლტოლვილის სტატუსის გარეშე დარჩა

სააპელაციო სასამართლომ მუსტაფა ემრე ჩაბუქს ლტოლვილის სტატუსის მინიჭებაზე უარი უთხრა და პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა.

ადვოკატები არ გამორიცხავენ, რომ სტრასბურგის სასამართლოს მიმართონ.

მუსტაფა ემრე ჩაბუქის ადვოკატმა ვახტანგ კვიჟინაძემ სასამართლოზე საერთაშორისო ორგანიზაციის დასკვნაზე დაყრდნობით ისაუბრა, იმ ურთულეს და უმძიმეს სიტუაციაზე ადამიანის უფლებების კუთხით, რომელსაც ადგილი აქვს თურქეთის რესპუბლიკაში, ეს არის წამება და არაადამიანური მოპყრობის ნათელი მაგალითები.

ლტოლვილთა სამინისტროს სასამართლო წარმომადგენლობის სამსახურის უფროსი ლევან ბარდაველიძე კი აცხადებდა, რომ ჩაბუქს თურქეთში არაადამიანური მოპყრობა არ ელის.

მუსტაფა ემრე ჩაბუქი 24 მაისს თურქეთის მხარის მოთხოვნით დააკავეს და მას ბრალად ტერორისტულ ორგანიზაციასთან თანამშრომლობა ედება.

ვის დავუჯეროთ, ალდამოვს თუ გამოძიებას?

ტერორიზმის ბრალდებით დაკავებული რუსლან ალდამოვის სკანდალურ განცხადებას იმის შესახებ, რომ სპეცრაზმის თანამშრომლებმა თემირლან მაჩალიკაშვილი შეცდომით მოკლეს, მაჩალიკაშვილის მამა ეხმაურება. მალხაზ მაჩალიკაშვილის განცხადებით, მან თავიდანვე განაცხადა, რომ სამართალდამცველებს შეცდომა მოუვიდათ. მოკლული ახალგაზრდას მამა სუს-ის უფროს გომელაურისა და სპეცრაზმელების დასჯას ითხოვს.

„რა იმედი უნდა მქონდეს ამ მთავრობის, თუ ამათ ეშლებათ. ამ დონეზე თუ ეშლება სახელმწიფოს, სხვა ვიღაც უნდა მოეკლათ და მოდიან 19 წლის უდანაშაულო ბავშვს მიკლავენ. ალდამოვის განცხადება მოვისმინე, ალბათ აქვს მაგას რაღაც საბაბი, ასეთი რამ რომ განაცხადოს. პირველი დღიდან ვამბობდი, მაგათაც ვეუბნებოდი, თქვენ არასწორად მოხვედით. მისამართი ან შეგეშალათ ან რაღაც სხვაშია საქმე. მერე რომ გავიგე, რომ შუბლში ჰქონდა ტყვია მოხვედრილი, მაშინ ვთქვი — ან ამ ხალხს ვიღაცაში შეეშალათ ან შეეშინდათ.

დაისაჯოს საქვეყნოდ გომელაური, მთლიანად მაგისი ჯგუფი და ეს სპეცრაზმი, ვინც ბინძური ფეხებით შემოვიდა ჩემს სახლში. ივანიშვილმა და ივანიშვილის მთავრობამ ამ ქვეყნად დარჩენილი ჩემი სიცოცხლე ჯოჯოხეთად მიქციეს, ამ ჯოჯოხეთის გზას მე გავივლი. კანონის ფარგლებში ამ ყველაფერს ყველას ვაზღვევინებ,“ — აცხადებს თემირლან მაჩალიკაშვილის მამა.

◎ გზასაცდენილთა პარალელები

ვაი, ჩვენი ცოდვა!

ჩვენისთანა ბედნიერი კიდევ არის სადმე ერი?!
დიდი ილია მართალი

საძირკველი შეირყა,
აღარ ფასობს ცოდნა,
უწიგნური ბევრი გვყავს,
წიგნიერი – ცოტა.
ყველაფერი შეირყვნა,
მადლს დასძლია ცოდვამ,
უსაქმური ბევრი გვყავს,
საქმის მცოდნე – ცოტა.
შედავებას ვერ ვრისკავთ,
ვერც ახლოს, ვერც შორით,
როცა ამტვრევს ერის კარს
ნდომა ფულის შოვნის.
– რას მოვედოთ, რომელ ხავსს?–
ეძებს ერი, ბერი!
გმირი დედა აღარ გვყავს,
უშვილძირო – ბევრი.
რა გინდ ხეხო ქვიშითა,
ყვავი რჩება ყვავად,
როცა სხვისი ჯიში და
კორუფცია ყვავა.
რა დღეში ვართ, ერიჰა!
ვაი, ჩვენი ცოდვა!
სუფრის კაცი ბევრი გვყავს,
ერის კაცი – ცოტა!

ალექსანდრე შენგელია
ქუთაისი

ბუკინისტი იყიდის:

მე-18-მე-19 საუკუნეში გამოშვებულ წიგნებს – 1500 ლარად, საბჭოთა კავშირში გამოშვებულ ფაიფურის სტატუეტებს – 200 ლარად, ძვირად იყიდის 1945 წლამდე გამოშვებულ ჟურნალებს, მისალოცა ბარათებს, გრავიურებს, ნახატებს, ხელნაწერებს, პლაკატებს, საბავშვო წიგნებს, მოვერცხლილ ან ვერცხლის ჭურჭელს.
591-75-35-38.

ნაკრების ყოფილ ექიმს 175-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს

სპორტულ ტანვარჯიშში ამერიკის ნაკრების ყოფილ ექიმს ლარი ნასარს 175-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს. როგორც გამოძიებამ დაადგინა, ის სპორტსმენ გოგონებზე ძალადობდა.

54 წლის ლარი ნასარის წინააღმდეგ ჩვენება 160-მა სპორტსმენმა მისცა. ნასარმა ტანვარჯიშის გუნდის წევრებზე სექსუალური ძალადობა აღიარა.

ჩინეთში მაიმუნის კლონი გამოიყვანეს

ჩინელმა მეცნიერებმა პრიმატების კლონი გამოიყვანეს. გრძელკუდა მაკაკების კლონირება შანჰაის ნეირომეცნიერებათა ინსტიტუტში იმავე მეთოდით მოხდა, რომლითაც 1996 წელს მსოფლიოში პირველი კლონირებული ცხოველის, ცხვარი დოლის. პირველი კლონირებული მაკაკა მაიმუნი ჩჟუნ ჩჟუნი 27 ნოემბერს დაიბადა, მეორე კი, სახელად ხუა ხუა – 5 დეკემბერს. ეს მსოფლიოში მაიმუნების კლონირების პირველი პრეცედენტია.

ტოკიოში მერკელისა და მაკრონის თოჯინები გამოუშვეს

ტოკიოში თოჯინების მწარმოებელმა კომპანია „კიუჯეცუმ“ გერმანიის კანცლერისა და საფრანგეთის პრეზიდენტის თოჯინები წარმოადგინა. ანგელა მერკელი და ემანუელ მაკრონი ტრადიციულ იაპონურ სამოსში არიან გამოწყობილები. თოჯინები, რომელთა ზომაც 38 სანტიმეტრს არ აღემატება, ქვეყანაში საგანგებოდ „გოგონების დღეს“ მიეძღვნა. კომპანია ინსპირაციის წყაროდ ყოველწლიურად გავლენიან ადამიანებს არჩევს პროტოტიპებად, რათა „გოგონების დღის“ აღნიშვნა მასშტაბურად მოხდეს.

გასაცინებელი ა(მ)ბები

კითხვა და პასუხი

ერთ-ერთი ყოველკვირეულის რედაქციამ შემდეგი შინაარსის წერილი მიიღო:

„19 წლის ვარ, კვირას ღამის 2 საათზე დავბრუნდი, დედაჩემმა ერთი ამბავი დამაწია, მითხარით, ამისთანა რა დავაშავე?“

რედაქციამ მალევე უპასუხა: „ეცადეთ, რომ გაიხსენოთ“...

კურდღელი

რვა წლის ვასიკო სკოლიდან დაბრუნდა:

– ტრამვაით მოხვედი? – ჰკითხა დედამ.

– კი, მაგრამ კონდუქტორი მთელი გზა ისე მიყურებდა, თითქოს უბილეთო ვიყავი.

– შენ რას აკეთებდი?

– მეც ვიდექი და ისე ვუყურებდი, ვითომ ბილეთი ჯიბეში მედო.

კინომცოდნეობა

ამერიკელი ტურისტების ჯგუფს გიდი ეუბნება:

– ყურადღება მიაქციეთ, რომ არ გამოგრჩეთ, თქვენ მარჯვნივ შუასაუკუნეების საოცარი ციხესიმაგრეა...

– ვერ გვეტყვით, რომელი ფილმისთვის აშენდა? – კითხულობს ერთი ტურისტთაგანი.

– რას ამბობთ, რა ფილმისთვის! ეს მე-14 საუკუნეშია აშენებული.

– უყურე შენ! კინო თურმე ჯერ კიდევ მაშინ არსებულა!

კიდევ თუთიყუშებზე

–შემიძლია თქვენგან მოლაპარაკე თუთიყუშის ყიდვა?

– ოლონდ წყვილის.

– რატომ?

– რატომ და, ერთი ესპანურად ლაპარაკობს, მეორე მგადმოენებელია, ესპანურს შენს ენაზე გადმოგიენებს.

როგორც ყოველთვის

საკონდიტროში ტელეფონის ზარის ხმა გაისმა:

– ალო, სმიტი გელაპარაკებით, ჩემი ცოლის დაბადების დღისთვის მიიღეთ ტორტის დაკვეთა.

– რამდენსანთლიანი გნებავთ?

– როგორც ყოველთვის, ახლაც 29-სანთლიანი...

მხედარი

ლორდმა კლუბში ფოტოგრაფია გამოფინა, როცა დოღის შეჯიბრებაში მონაწილეობდა, იმდროინდელი .

– მომენტალური ფოტოს კვალობაზე ცუდი სულაც არ არის, – ეუბნება ერთი ნაცნობთაგანი.

– რატომ უწოდებთ ამ ფოტოს მომენტალურს? – გაიკვირვა ლორდმა.

– მგონი შენც აღარ გახსოვს, ბოლოს როდის იჯექი ცხენზე.

საკვირველი რამ

ბიჭი ზოოლოგიის გაკვეთილიდან მოვიდა და მამას ეკითხება:

– ცხენ-მამას რა ჰქვია?

– ულაყი.

– ცხენ-დედას?

– ფაშატი.

– ცხენ-შვილს?

– კვიცი.

– აბა, რომელია უბრალოდ ცხენი, რომელსაც ცხენი ჰქვია? – გაკვირვებულმა იკითხა ბიჭმა.

საქმე ის არის

ერთი ინგლისელი მეორეს ეკითხება:

– მითხარი, თუ კაცი ხარ, შენს კატას რომ აბანავებ, კნავის?

– კნავის და მერე როგორ!

– უცნაურია, ჩემი არ კნავის...

– საქმე ის არის, რომ ალბათ, შენ არ წურავ...

ინგლისური აუღელვებლობა

ერთ დიდ დარბაზობაზე, სადაც სულ მაღალი წრის ხალხი იყო შეკრებილი, უგერგილო ლაქიამ მავან ლორდს მელოტ თავზე უნებლიეთ წვნიანი გადაასხა.

ლორდი მშვიდად მიუბრუნდა ლაქიას:

– თქვენი აზრით, ვითომ ეს წვნიანი მიშველის?

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გამოიწერეთ ან ყოველდღე იყიდეთ „საქართველოს რესპუბლიკა“ და ამით გადაარჩინეთ თქვენი გაზეთი

უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.4999; ევრო - 3.1034;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5671;
100 რუბლი - 4.4820; თურქული ლირა - 0.6676;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4710;
1000 სომხური დრამი - 5.1946.

ამინდი 27 იანვრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-2,	დღე	+6
მთიანი რაიონები -	ღამე	-7,	დღე	+5
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	0,	დღე	+12
მთიანი რაიონები -	ღამე	-4,	დღე	+10
თბილისი:	ღამე	+2,	დღე	+5

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge